ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №7. სექტემბერი. 2014.

გამოცდილებასა და ტრადიციებზე დაფუძნებული სიახლეები

ახალი სასწავლო წლის დაწყება ცოდნის ზეიმთან, სიხარულთან, ახლის მოლოდინთან და რაც მთავარია, უნივერსიტეტის ახალი თაობით შევსებასთან ასოცირდება.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საქართველოში აბიტურიენტთა სიმცირისა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონტინგენტი თითქმის სრულად შეივსო და რაოდენობით გასული წლების მაჩვენებელს გაუტოლდა. აქტიურად წარიმართა მობილობის პროცესი, რომლის საფუძველზეც ჩვენს უნივერსიტეტში სხვადასხვა საფეხურზე გადმოსულ სტუდენტთა რაოდენობამ სამასს გადააჭარბა, რაც ბსუ-ში სწავლის მსურველთა რაოდენობის ზრდაზე მიუთითებს.

ტრადიციულად, ახალ სასწავლო წელს ჩვენი უნივერსიტეტი სიახლეებით ხვდება. ნაცვლად შვიდი საგანმანათლებლო ერთეულისა, შეიქმნა ცხრა ფაკულტეტი. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდა სამი დამოუკიდებელი ერთეული: ეკონომიკური და ბიზნესის, იურიდიულ მეცნიერებათა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა. ეს რეორგანიზაცია ხელს შეუწყობს მართვის ეფექტურობის, სწავლების ორგანიზებისა და ხარისხის გაზრდას.

ჩვენთან წლებია წარმატებით ხორციელდება გაცვლითი პროგრამები, რომელშიც ჩვენი უნივერსიტეტი სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობის მიხედვით საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის მესამე ადგილზეა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა გულისხმობს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრირებასა და უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტში მიღებულ განათლებას.

უნივერსიტეტი ყოველთვის გულღიად ხვდებოდა სტუმრებს. აქ ტრადიციულად მიჰყავდათ სალექციო კურსები საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან და უცხოეთიდან მოწვეულ პროფესორებს. გასულ წელს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამის დახმარებით შევძელით სხვადასხვა მიმართულებაში მოგვეწვია როგორც ქართველი, ასევე უცხოელი პროფესორები, რომლებმაც წაიკითხეს საჯარო ლექციები და წარმართეს ვორქშოპები. წელს შემოვიღეთ ე.წ. ,,სტუმარი-პროფესორის“ სტატუსი, რომლის ფარგლებში გაგრძელდება პროფესორ-მასწავლებელთა მოწვევა და სტუდენტებისათვის სალექციო კურსების წარმართვა.

მაშინ, როდესაც მრავალ უმაღლეს სასწავლებელში აღარ არსებობს სტუდენტთა სტიპენდიების პროგრამები, ჩვენმა უნივერსიტეტმა დღემდე შეინარჩუნა და გაამრავალფეროვნა იგი. მაგალითად, წელს სახელობითი სტიპენდიების რიცხვს ბოტანიკური ბაღის მიერ საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტებისათვის დაწესებული სამი სტიპენდია შეემატა.

სასწავლო პროცესის სრულყოფა და განვითარება წარმოუდგენელია ბიბლიოთეკის სრულყოფის გარეშე. წელსაც დაგეგმილია უახლესი ლიტერატურით ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდისა და კომპიუტერული ტექნიკის განახლება.

წლევანდელ სიახლეთა შორის ცალკე უნდა გამოვყოთ ყველა მიმართულებით საერთაშორისო მიმოქცევაში არსებული რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალის დაარსება, რომელიც კვარტალში ერთხელ გამოვა და ხელს შეუწყობს არა მარტო სასწავლო, არამედ კვლევითი და სამეცნიერო კომპონენტის გაძლიერებასაც.

ახალი სასწავლო წელი უნივერსიტეტისათვის საიუბილეო გახლავთ, მას დაარსებიდან 80 წელი უსრულდება. ამასთანავე ეს არის მომავალი ინსტიტუციური ავტორიზაციისა და აკრედიტაციისათვის მზადების წელი, რომლის წარმატებით განხორციელებაში თითოეულმა ჩვენმა თანამშრომელმა საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს.

მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემის დანერგვა, რომელიც შეამცირებს როგორც ფინანსურ, ასევე დროის დანახარჯებსაც, ხელს შეუწყობს საქმისწარმოების მობილობასა და ოპერატიულობას. უნივერსიტეტში დამონტაჟდა უფასო უკაბელო ინტერნეტი, რომლითაც სარგებლობა ხელმისაწვდომია როგოც პროფესორ-მასწავლებლების, ასევე სტუდენტებისათვისაც.

წლევანდელ სასწავლო წელს უნივერსიტეტმა პრიორიტეტებად დაისახა საერთაშორისო ურთიერთობების კიდევ უფრო გაფართოება, გაცვლითი და ახალი ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, სამეცნიერო კონფერენციებისა თუ საზაფხულო სკოლების ორგანიზება და რა თქმა უნდა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კიდევ უფრო გაუმჯობესება და ინფრასტრუქტურის სრულყოფა.

სტუდენტთა თავისუფალი დროის რაციონალურად და სწორად გამოყენების მიზნით მუშაობას ისევ გააგრძელებს უნივერსიტეტში მოქმედი კულტურული და სპორტული წრეები, ამ მიმართულებითაც ველოდებით წარმატებულ წელს.

უნივერსიტეტის ბეჭდური ორგანო, გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი“, სისტემატურად და დროულად ასახავს ჩვენთან მიმდინარე პროცესებს, სწავლებაში დანერგილ სიახლეებს, უნივერსიტეტის მიღწევებსა და სტუდენტურ ცხოვრებას. იგი კვლავაც გააგრძელებს ჩვეულ რიტმში მუშაობას და ინოვაციების დანერგვასაც გეგმავს.

და ბოლოს, ახალი სასწავლო წლის დაწყება მინდა მივულოცო ჩემს უნივერსიტეტს, პროფესორ-მასწავლებლებს, ყველა თანამშრომელს, თითოეულ სტუდენტს, განსაკუთრებით პირველკურსელებს და ვუსურვო წარმატებები სწავლაში. ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ დღეს ქვეყანაში კვალიფიციური კადრების დეფიციტია, მაღალკვალიფიციური სპეციალისტის ჩამოყალიბება კი — სწორედ უნივერსიტეტის კედლებში ხდება, კვალიფიციური პროფესურის დახმარებითა და სტუდენტთა განსაკუთრებული გარჯით.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და დარწმუნებული ვარ, ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ ახალი გამოწვევების მიღებასა და ახალი პროექტების წარმატებით განხორციელებას.

ალიოშა ბაკურიძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „კორპუსლინგვისტიკა და ქართველოლოგიის სპეციალური პრობლემები“

„დიგიტალური ჰუმანიტარიის“ საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „კორპუსლინგვისტიკა და ქართველოლოგიის სპეციალური პრობლემები“ გაიხსნა შოთა რუსთაველის დარბაზში. საერთაშორისო საზაფხულო სკოლა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის ორგანიზებით მესამედ ტარდება. პროექტის ასამდე ქართველი და უცხოელი მონაწილე ათი დღის განმავლობაში ქართული ენის ეროვნული კორპუსის

შექმნაზე იმუშავებს. საზაფხულო სკოლის ფარგლებში შეიქმნება დიგიტალური ჰუმანიტარიის პლატფორმა. ევროპელი და ქართველი მეცნიერები შეხვდებიან კვლევის ინოვატორული მეთოდებით დაინტერესებულ ქართველ ჰუმანიტართა ახალ თაობას. სკოლის მონაწილეებისათვის ბსუ-ს საპატიო დოქტორის, პროფესორ იოსტ გიპერტის ინიციატივით ცნობილი ევროპელი მეცნიერები საერთაშორისო ინტერდისციპლინარულ ვორკშოპს გამართავენ.

ათდღიანი ლექციები, ტუტორიუმი და აკადემიური დისკუსიები საფუძვლად დაედება კორპუსლინგვისტური კვლევების დანერგვასა და განვითარებას ქართულ უნივერსიტეტებში. საზაფხულო სკოლა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ფოლკსვაგენის საერთაშორისო ფონდის დაფინანსებით ტარდება.

ბსუ-ს საფეხბურთო ნაკრები საქართველოს საუნივერსიტეტო ლიგის ჩემპიონია

საუნივერსიტეტო ჩემპიონატი ქვიშის ფეხბურთში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გამართულ ქვიშის ფეხბურთის ჩემპიონატში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა. ჯგუფურ ეტაპზე დაამარცხა ილიაუნი (6:5), სტუ (6:3), თსუ (4:3), თსსუ (4:3), ხოლო ფინალში სტუ-ს ნაკრებ-

თან ანგარიშით 4:1 პირველობა მოიპოვა. საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ ბსუ-ს საფეხბურთო ნაკრებს სტუდენტური თასი, მედლები და სიგელები გადასცა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ულოცავს ნაკრებს გამარჯვებას და წარმატებებს უსურვებს.

საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „სამართალი და პოლიტიკა“

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აკადემიური განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის ორგანიზებით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიხსნა თემაზე: ,,სამართალი და პოლიტიკა“. საქართველოს, ლიტვის, ინგლისის, კანადის, უკრაინის, იტალიის, ეგვიპტის, ირანის, უნივერსიტეტების პროფესორები ადამიანის უფლებათა დაცვის, არბიტრაჟისა და განათლების სფეროებში არსებულ სამართლებრივ პრობლემებს განიხილავენ. დელეგატები მოხსენებებს ისეთ აქტუალურ თემებზე წარმოადგენენ როგორიცაა: ,,მემკვიდრეობისა და განვითარების კრიტერიუმების საკითხი სამართალში“, ,,ქართული რეალობა სისხლის სამართლის კანონის უკუქცევის შესახებ“, ,,აკადემიური ეთიკის საკითხები უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში: საერთაშორისო ურთიერთობების გამოყენება კულტურული ინტეგრაციისათვის უნივერსიტეტებში“, ,,კავკასიური გეოპოლიტიკის სპეციფიკა ახალი მსოფლიოს წყობის კონსტრუირებაში“. ორდღიან საერთაშორისო კონფერენციაში 35-მდე სამართლისა და პოლიტიკური მეცნიერების მიმართულების მკვლევარი მონაწილეობს.

ლიტვის მიკოლას რომეს უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი

ლიტვის მიკოლას რომეს უნივერსიტეტის დელეგაცია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. პრორექტორი საერთაშორისო ურთიერთობებისა და კვლევის სფეროში, სამართლის დოქტორი, ინგა ზალინიენი და იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალის აღმასრულებელი რედაქტორი აგნე ტვარონავიციენი ბსუ-ს რექტორს, პროფესორ ალიოშა ბაკურიძეს და უნივერსიტეტის დეკანებს შეხვდნენ. მხარეები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარდგინების შემდეგ თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებასა და ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო პროგრამების განხორციელებაზე შეთანხმდნენ. დელეგაციის ვიზიტი ბათუმის საერთაშორისო კონფერენციის ,,სამართალი და პოლიტიკა“ ფარგლებში შედგა.

საზაფხულო სკოლა სტუდენტებისთვის „კვლევის მეთოდები მასალათმცოდნეობაში“

საზაფხულო სკოლა ,,კვლევის მეთოდები მასალათმცოდნეობაში“ დასრულდა. ორგანიზატორებმა მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს და პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. საზაფხულო სკოლაში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 40-მდე ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტი მონაწილეობდა. ექვსი დღის განმავლობაში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბსუ-ს პროფესორებთან ერთად ლექციებს კითხულობდნენ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის და ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტების წამყვანი ფიზიკოსები. მეცნიერებმა სტუდენტებს მასალების კვლევის ექსპერიმენტული, თეორიული და კომპიუტერული მოდელირების მეთოდები, თანამედროვე და პერსპექტიული მასალები და მათი ოპტიკური, მაგნიტური და მაგნიტოოპტიკური თვისებების ტექნიკასა და მედიცინაში გამოყენება გააცნეს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი საგრანტო პროექტი ,,საზაფხულო სკოლა სტუდენტებისთვის - კვლევის მეთოდები მასალათმცონეობაში“ შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა.

TEMPUS-ის პროექტი „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება საქართველოში“

უნივერსიტეტი TEMPUS-ის პროექტის „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება საქართველოში“ პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა შეხვედრას მასპინძლობს. პროექტის ფარგლებში ჰამბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ჰელმუტ ფოგტი ტრენინგებს ატარებს თემაზე: ,,ფინანსური მენეჯმენტი“. სემინარის 20 მონაწილე საქართველოდან, გერმანიიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან დაფინანსების დონეებზე, ძირითად მოდულებზე და ფინანსური მენეჯმენტის გაუმჯობესების სტრატეგიის ძირითად ელემენტებზე იმსჯელებს. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოების უწყვეტ განათლებას, გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას.

პროგრამით გათვალისწინებული აქტივობებია:

- სტრატეგიის შემუშავება
- უწყვეტი განათლების ცენტრის ჩამოყალიბება
- სპეციალური ტრენინგ-პროგრამების მომზადება
- პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შემუშავება
- სახელმძღვანელოს მომზადება

პროექტის პარტნიორები:

1.ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (აპლიკანტი) 2.კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი 3. აპოლონ ქუთათელაძის თბილისის სახელმწიფო ხელოვნების აკადემია 4. გერმანელ მოზარდთა განათლების ასოციაციის ინსტიტუტი საერთაშორისო თანამშრომლობისათვის (საქართველო) 5.ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 6.ბათუმის საზღვაო აკადემია 7.ვანადორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (სომხეთი) 8.ბრიუსოვის სახელმწიფო ლინგვისტიკის უნივერსიტეტი (სომხეთი) 9.გერმანელ მოზარდთა განათლების ასოციაციის სომხეთის ფილიალი 10.გრაცის უნივერსიტეტი (ავსტრია) 11.კავკაზის უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი) 12. ხაზარის უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი) 13. აზერბაიჯანის მოზარდთა განათლების ასოციაცია 14. ტალინის უნივერსიტეტი (ესტონეთი) 15. ჰამბურგის უნივერსიტეტი (გერმანია)

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დეკანი, პროფესორი მარინა გიორგაძე

— რა სიახლეებით ხვდება ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს?

—ახალ სასწავლო წელს ვხვდებით წარმატებების მოლოდინით. მიმდინარე სასწავლო წელი, ვიქრობ, უპირველეს ყოვლისა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების წელი უნდა იყოს, ამ მხრივ, მთელი რიგი ღონისძიებები გვაქვს დაგეგმილი. გვინდა მომავალი სასწავლო წელი კიდევ უფრო საინტერესო იყოს ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებისთვის; ამ მიზნით, გავაფორმეთ თანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა სასწავლო და კვლევით ცენტრთან, ვგეგმავთ საინტერესო შეხვედრების ორგანიზებას, რაც სწავლა-სწავლების ფორმებსაც უფრო მრავალფეროვანს გახდის და სტუდენტთა სოციალიზაციასაც შეუწყობს ხელს.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ სიახლეები გვაქვს სწავლების ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით; ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე 15-მდე უცხოეთის მოქალაქე ჩაირიცხა; ჩვენს ფაკულტეტზე საქართველოში აშშ-ის საელჩომ მთელი აკადემიური წლით მოავლინა ფულბრაიტის სტიპენდიანტი ჯესიკა პრესტონი, რომელიც იმუშავებს ჩვენს სტუდენტებთან; გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მიმდინარე სასწავლო წელს ვუმასპინძლებთ 5 სტუდენტს (ერთს-პოლონეთიდან, 4 სტუდენტს-ნახჭევანიდან); საფრანგეთის, გერმანიის იტალიის უნივერსიტეტებში ხანგრძლივ სტაჟირებაზე იმყოფება ფაკულტეტის ორი პროფესორი; სამი სტუდენტი კი ერაზმუსის გაცვლითი პროგრამით აგრძელებს სწავლას.

— ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, გეგმავს თუ არა ფაკულტეტი სპეციალურ ღონისძიებას?

— ახალი სასწავლო წლის დაწყებას საერთო საუნივერსიტეტო ღონისძიებებით ვუერთდებით; წელს ჩვენი ფაკულტეტის პირველკურსელი, ნინო ინწკირველი, რომელმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 100%-იანი გრანტი მოიპოვა, მიესალმება და მიულოცავს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას. ტრადიციულად, პირველივე დღეს გვექნება შეხვედრა პირველკურსელებთან, შევეცდებით მათ მივაწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესთან და სხვა მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით;

— სამეცნიერო კვლევების მხრივ რა ვითარებაა ფაკულტეტზე და სიახლეებს ხომ არ უნდა ველოდოთ?

— ფაკულტეტზე დიდი ყურადღება ექცევა სამეცნიერო კვლევების განვითარებას და შედეგების ინტეგრირებას სწავლების პროცესში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მაღალი შეფასება მისცა გასულ წელს ჰუმანიტარული მეცნიერებების დარგებში შესრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს, განსაკუთრებით ისტორიისა და არქეოლოგიის მიმართულებით. ამჟამად ჩვენი ფაკულტეტის ხუთი პროფესორი სამეცნიერო მივლინებით იმყოფება პარიზში, სამეცნიერო კონფერენციაზე; ხოლო ორი პროფესორი მივლინებით გაემგზავრა იტალიაში, კვალიფიკაციის ასამაღლებლად და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიზნით. ოქტომბრის ბოლოს ჩვენი ფაკულტეტი უმასპინძლებს საერთაშორისო კონფერენციას „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-II", რომლის მუშაობაშიც სამასამდე ქართველი და უცხოელი მეცნიერი მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის ქართველი მკვლევრები, რომლებიც უცხოეთში მოღვაწეობენ.

— რამდენად კმაყოფილია ფაკულტეტი 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით?

— ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო წელს 260 ადგილზე 262 სტუდენტი ჩაირიცხა; 90 სტუდენტი გვყავს სრული სახელმწიფო დაფინანსებით (ქართული ფილოლოგიისა და ისტორიის სპეციალობებზე); 16-მა სტუდენტმა მოიპოვა საგრანტო დაფინანსება; გაიზარდა მოთხოვნა ფაკულტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე; შეიძლება ითქვას, ეროვნული გამოცდების შედეგებით კმაყოფილი ვართ.

განათლების ფაკულტეტი

დეკანი, ასოცირებული პროფესორი
მადონა მიქელაძე

თანამედროვე სამყაროში ცოდნის, ეკონომიკის, მდგრადი განვითარების და კეთილდღეობაზე დამყარებული სახელმწიფოს მდგომარეობის მიღწევისათვის გარდაუვალია იმ ადამიანების ადეკვატური მომზადება, ვინც მართავს საზოგადოების ყოველი წევრის სოციალიზაციის პროცესის დიდ ნაწილს. ეს ადამიანები არიან მასწავლებლები, რომელთა დაკვირვებით და მონაწილეობით ხდება მოსწავლის პირველადი სოციალიზაცია და იდენტობის კონსტრუირება. შედეგად, ვიღებთ ვითარებას, როდესაც პიროვნება, საზოგადოება და ქვეყანა ისეთია, როგორი მასწავლებლებიც გვყავს სკოლაში. ამიტომ, თანამედროვე საზოგადოებაში, მასწავლებლის აკადემიურ მომზადებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს მასწავლებლის მომზადების დიდი გამოცდილება აქვს. იგი ერთადერთი რეგიონული უნივერსიტეტია, რომელიც დაფუძნებულია პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე და ააქვს 80 წლიანი გამოცდილება. დღეისათვის პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეს დიდი ისტორიისა და მდიდარი ტრადიციების მქონე განათლების ფაკულტეტი უძღვება.

განათლების ფაკულტეტი ახორციელებს დაწყებითი განათლების, სპორტის, მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს, განათლების ადმინისტრირების, უმაღლესი განათლების მენეჯმენტის და საბაზო და საშუალო სკოლის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს, აგრეთვე, განათლების სადოქტორო პროგრამას.

სწორედ ამ მცირე, მაგრამ დიდი ისტორიის მქონე ფაკულტეტმა წელს მოახერხა, აღმოჩენილიყო ბსუ-ს იმ ფაკულტეტებს შორის, რომლებმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად სრულად შეავსეს კონტინგენტი.

არც გასულ წლებში ჰქონია ფაკულტეტს შევსების პრობლემა. სპეციალობის ისტორიას თუ გადავხედავთ, ფაქტობრივად არც ერთ პერიოდში არ დაფიქსირებულა ვაკანსია გამოცხადებულ ადგილებზე. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მიმდინარე წლისგა ნგანსხვავებით, 2013 წელს აღნიშნული სპეციალობა ჩვენს უნივერსიტეტში არ ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ. 2013 წლიდან ბსუ-ში ამოქმედდა განათლების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, რის შედეგადაც დაწყებითი განათლების სპეციალობაზე 2014 წელს ჩარიცხული 90 პირველკურსელის განათლებას სახელმწიფო დააფინანსებს.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფაკულტეტის სრულად დაკომპლექტება მხოლოდ უფასო პროგრამის არსებობამ განაპირობა. თუ თვალს გადავავლებთ ბსუ-ს კურსდამთავრებულთა დასაქმების ბოლო წლების მაჩვენებელს, შეიძლება ითქვას, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებლის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადია შრომის რეგიონულ ბაზარზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენი კურსდამთავრებულები დასაქმებულნი არიან არა მხოლოდ აჭარის, არამედ მთლიანად დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, რასაც ხელს უწყობს საჯარო და კერძო სკოლებთან უნივერსიტეტის აქტიური თანამშრომლობა და პედაგოგიური პრაქტიკის მნიშვნელოვანი წილი საგანმანათლებლო პროგრამაში.

მაგრამ არც ესაა ფაკულტეტის წარმატებას პირველ რიგში სწავლების ხარისხი, მაღალკვალიფიციური პროფესურა და თბილი და ოჯახური გარემო განაპირობებს. ჩვენი ფაკულტეტი სტუდენტებს აძლევს არა მხოლოდ ცოდნას, არამედ შესაძლებლობებს შეცვალონ ის გარემო, რომელშიც მომავალში მოუწევთ საქმიანობა.

მიმდინარე სასწავლო წელს ფაკულტეტი ბევრი სიახლით ხვდება: გარემონტდა სასწავლო აუდიტორიების ნაწილი, ყველა აუდიტორია აღიჭურვება თანამედროვე ტექნიკით, ამოქმედდა ახალი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „უმაღლესი განათლების მენეჯმენტი", მზადდება ახალი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები.

ძვირფასო სტუდენტებო, მოხარული ვართ, რომ განათლების ფაკულტეტის აკადემიური პროგრამებით დაინტერესდით. თუ თქვენ ეძებთ, საუკეთესო პროფესორებს, მაღალი ხარისხის სწავლებასა და ინდივიდუალურ მიდგომას, თქვენ არჩევანი სწორად გააკეთეთ.

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. გისურვებთ წარმატებებს!

ტურიზმის ფაკულტეტი - მიღწევები და გამოწვევები

დეკანი, პროფესორი
როსტომ ბერიძე

ჩვენ ვისწრაფვით ვიყოთ უკეთესები ...

ყველაფერი კი 3 წლის წინ დაიწყო, როდესაც აჭარის ა.რ. მთავრობისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძალისხმევით ტურიზმის ფაკულტეტი შეიქმნა. გადაწყვეტილების მიღება რეგიონში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების აუცილებლობამ განაპირობა.

რა სიახლეებით ხვდება ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს?

ფაკულტეტის მიზანია - ტურისტული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა და ტურიზმის დარგისათვის მაღალკვალიფიციური, შესაბამისი კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მომზადება.

შემუშავდა და დაინერგა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი „ტურიზმის" საბაკალავრო და „სასტუმრო საქმისწარმოების" პროფესიული პროგრამები, სწავლება დაიწყო თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ აუდიტორიებში.

ტურიზმის ფაკულტეტი ინტენსიურად მუშაობს უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობის გაფართოებისათვის. ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს და გაცვლით პროგრამებს ახორციელებს შვერინის (გერმანია), ტელემარკის (ნორვეგია) და ებერსვალდის(გერმანია) უნივერსიტეტებთან, ჰამბურგის ევროპის ბიზნეს-კოლეჯთან (გერმანია).

გაცვლითი პროგრამებით შესაძლებელი გახდა სწავლების ხარისხის ამაღლება, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. საგანმანათლებლო პროგრამები მთლიანად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს გერმანიისა და ამერიკის უნივერსიტეტებთან. მოწვეული გვყავს და ფაკულტეტზე პედაგოგიურ საქმიანობას ეწევიან ტურიზმის უცხოელი ექსპერტები.

სერიოზული პრეტენზია გვაქვს ვიყოთ პირველები. ჩვენი მიზანია სტუდენტებს მივცეთ ტრანსფერული ცოდნა, რათა შეძლონ საზღვარგარეთის ქვეყნებში თავიანთი სპეციალობით დასაქმება.

რა განსაკუთრებულ პირობებს სთავაზობს პირველ კურსელებს ფაკულტეტი?

აქ ყველა პირობაა იმისათვის, რომ მომზადდეს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. კერძოდ, გამოიყენება თანამედროვე მენეჯმენტის სისტემა. ტურიზმის ფაკულტეტმა სასტუმროს მენეჯმენტის მაღალხარისხოვნად სწავლებისათვის შეიძინა სასტუმროს მართვის პროგრამა „Opera". ამ სისტემით სარგებლობენ სასტუმროების ისეთი ცნობილი ბრენდები, როგორებიცაა: „Sheraton", „Radisson", „Hilton" და სხვა.

ვასწავლით რესტორნის მენეჯმენტის პროგრამულ სისტემას „Micros". ფაკულტეტზე მოქმედებს ტურისტული საგენტო „UNItour", სტუდენტებს ადგილზე შეუძლიათ დაეუფლონ ტუროპერეიტინგს.

რამდენად კმაყოფილია ფაკულტეტი 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით?

მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის ფაკულტეტი არსებობის მხოლოდ სამ წელს ითვლის, ის ერთიანი ეროვნული გამოცდების განაცხადში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი ფაკულტეტია საქართველოში.

როგორ შეაფასებთ უკვე განხორციელებულ პროგრამებს?

ტურიზმის ფაკულტეტი წარმატებით ახორციელებს მნიშვნელოვან პროგრამებს და პროექტებს:

- ტურიზმის ფაკულტეტის 70 სტუდენტმა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა გაიარა მიუნხენის, ბერლინის და კუნძულ უზედომის 5-ვარსკვლავიან სასტუმროებში.

- ტურიზმის ფაკულტეტის 9 პროფესორ-მასწავლებელმა სტაჟირება გაიარა ბერლინისა და ნორვეგიის უნივერსიტეტებში.

- ტურიზმის ფაკულტეტის 27 სტუდენტი სხვადასხვა გაცვლითი პროგრამით სწავლობდა ნორვეგიის, გერმანიის, პოლონეთისა და თურქეთის უნივერსიტეტებში.

- ტურიზმის ფაკულტეტის ორგანიზებით, ყოველწლიურად იმართება საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი", რომელშიც მონაწილეობას ღებულობს 20-ზე მეტი ქვეყნის უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები და ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლები.

- ტურიზმის ფაკულტეტის წარმატებულ სტუდენტებს საშუალება აქვთ 3-თვიანი ანაზღაურებადი პრაქტიკა გაიარონ გერმანიის ტურიზმის ინდუსტრიის ორგანიზაციებში.

- ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტების უმრავლესობა წარმატებით საქმიანობს ცნობილ საერთაშორისო კომპანიებში.

- ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტების დიდი ნაწილი ზაფხულში ახლადგახსნილ სასტუმრო „Hilton"-ში დასაქმდებიან.

- გერმანელი პარტნიორების მონაწილეობით, ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება ინგლისურენოვანი „საერთაშორისო ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამა, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს რამდენიმე სემესტრი უცხოეთში ისწავლონ.

ფაკულტეტი აგრძელებს ინოვაციურ საქმიანობას და მაქსიმალურად ცდილობს უზრუნველყოს სტუდენტებისათვის მიმზიდველი სასწავლო გარემო.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

დეკანი, პროფესორი
მარინა ძორიძე

რა სიახლეებით ხვდება ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს?

ახალი სასწავლო წლის დაწყებას მუდამ სიახლეების მოლოდინი ახლავს. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ახალ სასწავლო წელს საუკეთესო სურვილებითა და იმედიანი მომავლით ხვდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, რომელიც 8 დეპარტამენტსა და 14 სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას აერთიანებს. 2014-2015 სასწავლო წელს ფაკულტეტზე დაგეგმილია რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედება. მათ შორისაა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვა", რომელმაც უკვე გაიარა აკრედიტაციის პროცესი. აკრედიტაციისათვის მზად არის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი), „ფიზიკური მედიცინის და სამედიცინო რეაბილიტაციის" საბაკალავრო და ,,ეკოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები. სექტემბერში „სამედიცინო განათლებისა და მედიკოსთა პროფესიული განვითარების ცენტრთან'' ამოქმედდება სასწავლო ცენტრი, რომლის მიზანია სამედიცინო განათლების პოპულარიზაცია, მედიკოსთა დახელოვნებასა და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრების, ტრენინგების, დისკუსიების, კონფერენციების და სხვა ღონისძიებათა მოწყობა. აღნიშნულ ცენტრს აშშ-ის განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული და ჯონ სნოუ ინკ-ის მიერ განხორციელებული პროგრამა „შენარჩუნების'' ფარგლებში 2014 წლის 7 აგვისტოს უსასყიდლოდ გადმოეცა 1620 დოლარის ღირებულების სამედიცინო სიმულატორები. უცხოეთის უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე ფაკულტეტზე ხორციელდება გაცვლითი პროგრამები, რომლის ფარგლებში ჩვენი სტუდენტები იმყოფებიან ნორვეგიის, პორტუგალიის, ლიტვის და თურქეთის უნივერსიტეტებში. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობენ ასევე ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები. ისინი ლიტვის, ირლანდიის, თურქეთისა და ბულგარეთის უნივერსიტეტებში წაიკითხავენ ლექციებს და გაივლიან ტრენინგებს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებით ველოდებით თანამედროვე ლაბორატორიულ აპარაატურას და შესაბამის ავეჯს, რაც ნამდვილად დიდი საჩუქარი იქნება ამ მიმართულების სტუდენტებისათვის. ვიმედოვნებთ, რომ წელს ამოქმედდება საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა. ,,ბათუმის ბოტანიკური ბაღის სტიპენდიის'' პროექტის ფარგლებში კონკურსის წესით გამოვლინდა სამი საუკეთესო სტუდენტი, რომლებიც ორთვიან სტაჟირებას გაივლიან ბათუმის ბოტანიკურ ბაღში და მიიღებენ 200-ლარიან სტიპენდიას.

სამეცნიერო კვლევების მხრივ რა ვითარებაა ფაკულტეტზე და სიახლეებს ხომ არ უნდა ველოდოთ?

სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან ერთად მნიშვნელოვანია ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების მიღწევები სამეცნიერო სფეროში. ფაკულტეტის იმუნო-გენეტიკის ლაბორატორიაში გრძელდება დონორების სისხლის ჯგუფური და რეზუს ანტიგენების შემადგენლობის შესწავლა იშვიათი ჯგუფების გამოვლენისათვის. მიმდინარეობს პრობლემური ახალშობილების სისხლის ჯგუფური ანტიგენების შესწავლა, სისხლის გადასხმისას ჰემოტრანსფუზიური გართულებების თავიდან აცილების მიზნით. კვლევებში ჩართულია შპს ჯანმრთელობის ცენტრ „მედინას" სისხლის ბანკი და ახალშობილთა რეანიმაციის დეპარტამენტი. კვლევები მიმდინარეობს აჭარის რეგიონში ნოზოკომიური ინფექციების გავრცელების სიხშირის შესწავლის მიზნით, ხდება ინფექციის გამომწვევთა იდენტიფიკაცია, რასაც დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს ანტიბ¬იოტიკორეზისტენტობის ჩამოყალიბების მიზეზის ძიების თვალსაზრისით.

დასრულდა მოსამზადებელი სამუშაოები დაფინანსებული საგრანტო პროექტის ფარგლებში დასავლეთ საქართველოს რეგიონული ქრომატოგრაფიული ცენტრის შექმნის მიზნით და ნოემბერში იგეგმება უახლესი ხელსაწყოებით აღჭურვილი სამეცნიერო ცენტრის გახსნა. შექმნილი ქრომატოგრაფიული ცენტრი საშუალებას მოგვცემს ჩატარდეს დასავლეთ საქართველოს უნიკალური ბიომრავალფეროვნების (აბორიგენული და არაადგილობრივი) და შავი ზღვის სანაპიროსა და მტკნარი წყალსატევების ბიორესურსების კომპლექსური ქიმიური კვლევები, მათი რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მიზნით. დაგეგმილია აჭარა-გურიის ზღვის სანაპირო ზოლის კულტურული და ველური მცენარეულობის ბიოლოგიური კონტროლი (გენეტიკური მონიტორინგი). კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობს აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური ფლორის ალკალოიდშემცველი სახეობების შესწავლისათვის მედიცინაში გამოყენების მიზნით. აღნიშნული კვლევა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ალკალოიდების შემცველობაზე პირველად ჩატარდება აჭარის ფლორისტულ რეგიონში გავრცელებული აჭარისა და აჭარა-ლაზეთის ენდემური სახეობების სკრინინგი. ალკალოიდების შემცველ მცენარეთა სპეციფიკური ბიოლოგიური აქტიურობის შესწავლის საფუძველზე შემდგომი შესწავლისათვის გამოვლინდება პერსპექტიული სახეობები სამედიცინო პრაქტიკაში გამოსაყენებლად, დადგინდება ბუნებრივი რესურსები და ჩატარდება კვლევები მათი კულტივირებისათვის. გვაქვს შემოთავაზება აღმოსავლეთ ევროპის ბიობანკების საერთაშორისო კონსორციუმიდან ბიობანკის შექმნის თაობაზე, რაც ვფიქრობთ, უნიკალური პლატფორმა იქნება სამეცნიერო კვლევებისათვის. ბიობანკში დაცული მონაცემები შესაძლებლობას იძლევა შესწავლილი იქნეს გენეტიკური ინფორმაციის როლი ინდივიდის ფორმირების, განვითარების, ჯანმრთელობის, დაავადების განვითარების, მედიცინის პერსონალიზაციისა და დაბერების პროცესში. ბიობანკებთან თანამშრომლობის ინტერესს იჩენენ ფარმაცევტული, დიაგნოსტიკური, ბიოტექნოლოგიური კომპანიები და სამეცნიერო/კვლევითი დაწესებულებები, რაც საინტერესო და მნიშვნელოვანია, როგორც სამეცნიერო კვლევების, ასევე ბიობანკის კომერციალიზაციის შესაძლებლობის თვალსაზრისით.

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით გეგმავს თუ არა ფაკულტეტი სპეციალურ ღონისძიებებს?

ახალი სასწავლო წლის დაწყებას მუდამ საზეიმო განწყობით ხვდება ჩვენი უნივერსიტეტი, ტრადიციულად, იმართება საზეიმო შეხვედრა უნივერსიტეტის ეზოში, შემდეგ კი ფაკულტეტის დეკანატის წარმომადგენლები, მიმართუ¬ლებების მიხედვით, ვხვდებით სტუდენტებს, ვაცნობთ იმ სიახლეებს, რომლებიც დაგეგმილია ახალ სასნავლო წელს. პირველკურსელებთან კი, რა თქმა უნდა, გვექნება განსაკუთრებული შეხვედრა და მართლაც, ბევრი რამ გვაქვს სათქმელი. მათ მხოლოდ ბარიერი კი არ გადაულახავთ, არამედ პროფესია აირჩიეს, რომელსაც მთელი სიცოცხლე უნდა მიუძღვნან. ეს კი ცხოვრების ახალი ეტაპი და ახალი გზაა, რომლის ღირსეულად გავლის საწინდარი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გატარებული წლები უნდა გახდეს. მინდა გზა დავულოცო პირველკურსელებს და ვუსურვო ის დრო არ დაკარგონ, რომელსაც ვერასოდეს იპოვიან.

ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დეკანი, ასოცირებული პროფესორი
გულადი ფარტენაძე

რა სიახლეებით ხვდება ბსუ-ს ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს?

ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ერთი წელია რაც შეიქმნა. გასული ერთი წლის განმავლობაში ფაკულტეტის ადმინისტრაცია აკადემიურ პირებთან ერთად ვცდილობდით შეგვექმნა სათანადო საუნივერსიტეტო გარემო. განვლილი ერთი წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის კუთხით.სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების, სასწავლო პროცესისა და შრომის ბაზრის ანალიზი გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ მხოლოდ ჩვენი მზაობა მოვამზადოთ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტები არ არის საკმარისი და საჭიროა ძირეული რეფორმა საშუალო სკოლაში ტექნიკური დარგების (ფიზიკის, მათემატიკის) სწავლების დონის ამაღლების კუთხით. პრობლემები საშუალო სკოლაში, განსაკუთრებით ტექნიკურ დარგებში, როგორიცაა სახელმძღვანელოთა გაუმართავობა, არათანმიმდევრობა და სხვა, აისახა მისაღებ კონტინგენტზე. სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება პროფილური (ექსპერიმენტული) სკოლის შექმნის იდეა. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ჩვენ შევეცადეთ შეგვექმნა ისეთი მობილური, ადაპტირებადი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც საბაკალავრო საფეხურზე ყველა მოტივირებული სტუდენტის მოთხოვნებს უზრუნველყოფს. მომავალ სასწავლო წელს სტუდენტებს ვთავაზობთ განახლებულ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში, ისინი მიიღებენ ზოგად განათლებას ფიზიკის, მათემატიკის, კომპიუტერულ მეცნიერების, ფინანსური მათემატიკის, გამოყენებითი ფიზიკისა და კომპიუტერული მათემატიკის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, ისე, რომ შეეძლებათ პრაქტიკულად ყველა ტექნიკური განხრით განავითარონ თავიანთი ცოდნა მაგისტრატურაში. ჩვენს ფაკულტეტზე სტუდენტს ექნება ფართო არჩევანი სწავლა-სწავლების პროცესში. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზარზე დეფიციტის აღმოსაფხვრელად, რაც გამოიხატება სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის ნაკლებობით.

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, გეგმავს თუ არა ფაკულტეტი სპეციალურ ღონისძიებას?

რა თქმა უნდა გეგმავს. ტრადიციულად უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გეგმავს პირველკურსელთა საზეიმო შეხვედრის ორგანიზებას, რასაც ფაკულტეტიც უერთდება. გარდა ამისა სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრას გეგმავს ფაკულტეტიც დარგობრივი დეპარტამენტების წარმომადგენლებთან ერთად.

სამეცნიერო კვლევების მხრივ რა ვითარებაა ფაკულტეტზე და სიახლეებს ხომ არ უნდა ველოდოთ?

ჩვენი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ასრულებს რამდენიმე სამეცნიერო საგრანტო პროექტს, სადაც სტუდენტებიც არიან ჩართული. წარდგენილია რამდენიმე ახალი საგრანტო პროექტი. ფაკულტეტის აკადემიური პირი მონაწილეობს ტემპუსის გრანტში, რომლის ფარგლებშიდაც შეიქმნა ახალი რობოტოტექნიკის ლაბორატორია. მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ჩვენს უნივერსიტეტში ჩატარდა საზაფხულო სკოლა ფიზიკაში „კვლევის მეთოდები მასალათმცოდნეობაში" და შედეგად თსუ-ს პროფესორ ალექსანდრე შენგელაის ინიციატივით და ხელშეწყობით, ჩვენი ფაკულტეტის ფიზიკის სპეციალობის სტუდენტი ანა სლიუსარევა გაემგზავრება შვეიცარიაში. ამჯერად მიმდინარეობს ტრადიციული მათემატიკოსთა საერთაშორისო კონფერენცია.

მომავალ წელს ფაკულტეტი გეგმავს ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზებას, დანერგვასა და ტრადიციად ჩამოყალიბებას.

სასწავლო და სამეცნიერო ლაბორატორიების მოდერნიზაცია, ახალი ლაბორატორიული აღჭურვილობის შეძენისათვის სათანადო ფინანსური სახსრების მოძიება, უახლესი ლიტერატურის შეძენა, ახალი სახელმძღვანელოების შექმნა, საკონფერენციო აუდიტორიის მოწყობა და ა.შ. იქნება ჩვენი ფაკულტეტის პრიორიტეტი მიმდინარე წელს.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ უკვე შეხვდით ბსუ-ს რექტორს, ბატონ ალიოშა ბაკურიძეს. როგორ ჩაიარა შეხვედრამ და რა საკითხები განიხილეთ?

მსგავსი შეხვედრები წარმოებს ტრადიციულად და პერიოდულად, როგორც ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე სასწავლო წლის განმავლობაში. ფაკულტეტი, მუდმივად გრძნობს რექტორის, ბატონ ალიოშა ბაკურიძის მხარდაჭერას. ჩვენ კარგად გვესმის, თუ რა გამოწვევების წინაშეა ფაკულტეტი და რა ფინანსური პრობლემები არსებობს, მაგრამ ფაკულტეტი აერთიანებს ისეთ მნიშვნელოვან დარგებს, რომლებიც მრავალი ტექნიკური და საბუნებისმეტყველო დარგის საფუძველია, ამავე დროს, ვფიქრობ გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ამ დარგების განვითარებისათვის ხელისშეწყობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ტექნოლოგიურ პროგრესს, ინოვაციურობას და ეკონომიკური წინსვლის რამდენიმე ფაქტორს. სწორედ ამიტომ ფიზიკა და მათემატიკა სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულ მიმართულებებად არის აღიარებული. თუმცა, როგორც აღვნიშნე, ფაკულტეტი ახალი შექმნილია და ახალი გამოწვევები, პრობლემები, რა თქმა უნდა მსგავსი შეხვედრების განხილვის საგანია. ვაფასებთ რა რექტორატის მხარდაჭერას სახელმწიფოებრივ მიდგომად, ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ჩვენი ფაკულტეტი მოამზადებს მაღალკვალიფიცირებულ კადრებს და შეასრულებს მნიშვნელოვან როლს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნაში.

რამდენად კმაყოფილია ფაკულტეტი 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით?

ფაკულტეტის მისაღები კონტინგენტი დიდი არ იყო, თუმცა ამის მიუხედავად კმაყოფილი მიღებული კონტინგენტით რა თქმა უნდა ვერ ვიქნებით. თუ რამ განაპირობა მისაღები კონტინგენტის ვერ შევსება, ამის შესახებ ნაწილობრივ უკვე ვისაუბრე, თუმცა ეს ფაქტი ბუნებრივია, განხილვის, მსჯელობისა და ანალიზის საფუძველი გახდება, რომელიც აუცილებლად შედეგს გამოიღებს.

ტექნოლოგიური ფაკულტეტი

დეკანი, პროფესორი
გიზო ფარცხალაძე

რა სიახლეებით ხვდება ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს?

უპირველესად მინდა ახალი სასწავლო წლის დაწყება მივულოცო ბსუ-ს სტუდენტებსა და ლექტორ-მასწავლებლებს, ვუსურვო მათ წარმატებები. ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე გასულ წელს ჩატარდა ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი სამუშაოები. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებულმა არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამამ დაიწყო წარმატებული ფუნქციონირება. ამ მიმართულებით აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით მოწვეული გვყავს საქართველოში ცნობილი მეცნიერი, პროფესორი გურამ ყიფიანი. მოეწყო არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტებისათვის სამუშაო ოთახი, ჩვენი მოთხოვნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ სასწავლო კურსების სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურული დაგეგმარების სასწავლო კურსებისათვის შესყიდული იქნა სპეციალური ფიგურები,სამარჯვეები, თვალსაჩინოებები, მოდელები, მასალები და სპეციალური ინვენტარი. გეოდეზიის მიმართულებით შესყიდული იქნა ტექნიკის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად ნიველირისა და თეოდოლიტის ხელსაწყოები. ჩვენმა სტუდენტებმა სრულფასოვნად გაიარეს სანარმოო პრაქტიკა კომპანიებში, ასევე განხორციელდა მაღალკურსელების და მაგისტრების ამ კომპანიებში სტაჟირება და დასაქმება. გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ თანამშრომლობისათვის კომპანიებს: შპს „ორბი ჯგუფი“; შპს „ანაგი“; შპს „მონოლითი 2005“; შპს „აჭარსპეცპროექტი“; შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“; შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“; კომპანია „ინტერტექკალებბრეტის“ საქართველოს ფილიალი; შპს „ბათუმის სამშენებლო კომპანია“; შპს ”BWC”; კომპანია „ბათუმის წყალი“ შპს „ბიემსი გორგია“; კომპანია GIMG, ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი, შპს „ARCH-Style“, კომპანია „სილენეტი” და სხვა კომპანიებს პრაქტიკისა და სტუდენტთა დასაქმების პროგრამაში აქტიური მონაწილეობისათვის.ამასთან გვინდა გაცნობოთ, რომ ჩვენი ფაკულტეტი თვითონ მონაწილეობს საქართველოში გამოცხადებული სტაჟირების პროგრამაში. მომავალი წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, გამარჯვებულ სტუდენტს საშუალება ექნება ჩვენ ფაკულტეტზე გაიაროს სტაჟირება.

ტექნიკისა და ბაზრის ცვალებად მოთხოვნებს ჩვენ სისტემატიურად უნდა ავუწყოთ ფეხი. ამ მიზნით ფაკულტეტზე უცხოელ სპეციალისტებთან ერთად აქტიურად მიმდინარეობს მართვის ავტომატიზირებული სისტემების ახალი თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების SAP2000, MATCAD, MATLAB, SketchUp-ის და სხვა დანერგვა.

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, გეგმავს თუ არა ფაკულტეტი სპეციალურ ღონისძიებას?

სხვათა შორის ჩვენს ფაკულტეტზე ღონისძიებები და საზეიმო შეხვედრები ტრადიციად იქცა. გამონაკლისი არც გასული სასწავლო წელი ყოფილა, ფაკულტეტის სტუდენტები და პროფესორ მასწავლებლები მრავალი საინტერესო შეხვედრისა და ღონისძიების ორგანიზატორები და მონაწილეები გახდნენ. აღნიშვნის ღირსია პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო და გეოინჟინერიის მიმართულების პროფესორის ბატონ რევაზ სტურუას შემოქმედებითი საღამო, რომელიც ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტების აქტიური მონაწილეობით გაიმართა და ასევე ტელეკომუნიკაციის მიართულებით ცნობილი მეცნიერისა და პროფესორის ბატონ ჯემალ ბერიძის იუბილე. რა თქმა უნდა ტრადიციებს არც წელს ვუღალატებთ და შესაბამისად დაგეგმილი გვაქვს პირველკურსელთა საზეიმო მიღება.

სამეცნიერო კვლევების მხრივ რა ვითარებაა ფაკულტეტზე და სიახლეებს ხომ არ უნდა ველოდოთ?

სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებით უნდა გაცნობოთ, რომ ჩვენ ფაკულტეტზე მიმდინარე სამეცნიერო მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ შეფასდა მაღალი ქულებით. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მრავალწლიანი ტრადიციების მქონე ინჟინერიისა და მშენებლობის დეპარტამენტი, რომლის მუშაობაც აკადემიის ნამდვილი წევრების გურამ გაბრიჩიძის დაელგუჯა მეძმარიაშვილის მიერ შეფასებული იქნა უმაღლესი ქულით. მინდა გაცნობოთ, რომ აჭარის განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებული პროგრამის-„უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ ფარგლებში ჩვენს მიერ მოპოვებული იქნა გრანტი, რომლის საფუძველზე ა.წ. 21-23 ოქტომბერს ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე საჯარო ლექციებს ჩაატარებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერ¬სიტე¬ტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის გენერალური კონსტრუქტორი, პროფესორი, გენერალ-მაიორი - ელგუჯა მეძმარიაშვილი. საჯარო ლექციის თემებია:

1. ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემები დედამიწაზე და კოსმოსში.
2. ექსტრემალური ხიდები.
3. საქართველოს ტერიტორიის საინჟინრო მომზადება თავდაცვისათვის.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ უკვე შეხვდით ბსუ-სრექტორს, ბატონ ალიოშა ბაკურიძეს. როგორ ჩაიარა შეხვედრამ და რა საკითხები განიხილეთ?

რექტორი შეეხო უნივერსიტეტის მართვის ელექტრონული სისტემის მზადების საკითხს. როგორც ზემოთ აღინიშნა, უნივერსიტეტში მზადდება მართვის ელექტრონული პროგრამა, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვას. სტუდენტები თვითონ შეძლებენ ელექტრონული რეგისტრაციის გავლას, მიღებული ქულების და მათთვის საინტერესო საკითხების მოძიებასა და გაცნობას. ასევე სწავლის საფასურის გადახდა 6 ეტაპად იქნება შესაძლებელი. როგორც ცნობილია, უნივერსიტეტმა შემოიღო „სტუმარი პროფესორის“ სტატუსი. რექტორის უშუალო ხელმძღვანელობით ხორციელდება მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან პროფესორების მოწვევა. მინდა გაცნობოთ, რომ წინა სასწავლო წელს მე ვიმოფებოდი საქმიანი ვიზიტით იტალიის ქალაქ ტურინის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში „PoliteqnikodiTorino“, რომელიც „ტემპუსის“ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა, ასევე მიმდინარე წლის 2-8 მარტს, ტემპუსის პროექტის - ENGITEC ის ფარგლებში ვიმყოფებოდი შვედეთში, სტოკჰოლმის - სამეფო ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში-KTH, ამასთანავე ნაყოფიერი იყო ჩემი ვიზიტი თურქეთის ქალაქ სტამბოლის მარმარასა და ფათიხის უნივერსიტეტებში. სწორედ ამ უმაღლესი სასწავლებლებიდან ვაპირებთ პროფესორების მოწვევას.ფაკულტეტმა მომავალი სასწავლო წლიდან უნდა გაიაროს სერიოზული მზადება პროგრამული აკრედიტაციისათვის. ამასთანავე, უნივერსიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში შესულია ტექნოლოგიური ფაკულტეტის კორპუსის სრულყოფილი რემონტი. ჩვენ ვაპირებთ თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად კაბინეტებისა და ლაბორატორიების მოწყობას საშენი მასალების კონსტრუქციების, ელტექნიკისა და ნავთობის მიმართულებით.

რამდენად კმაყოფილია ფაკულტეტი 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით?

ფაკულტეტზე 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით არა ვართ უკმაყოფილო. ინჟინერიის მიმართულებით აბიტურიენტების რაოდენობის მიხედვით უკვე შექმნილი იყო საკონკურსო მდგომარეობა. ამიტომ, ცხადია, გამოცხადებული ადგილების რაოდენობა სრულად იქნა შევსებული. რაც შეეხება აგარარულ მიმართულებას, დაგვრჩა მცირეოდენი ვაკანსიები, რომლებიც სავარაუდოდ მობილობის პროცესში, ან ფაკულტეტის მიერ დაგეგმილი სპეციალური ღონისძიებებით შეივსება. ამჟამად მიმდინარეობს განაცხადებების მიღება ოთხ სამაგისტრო, ორ სადოქტორო და მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

მინდა მივულოცო ჩვენ ფაკულტეტზე ჩარიცხვა იმ აბიტურიენტებს, რომლებსაც აქვთ ტექნიკური და ტექნოლოგიური უმაღლესი განათლების მიღების მიზანი, მინდა ვუსურვო მათ წარმატებები. ვფიქრობ, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი გახდება მათი პროფესიული და პიროვნული წარმატების საფუძველი.

ჩვენი საუბრის დასასრულს მინდა გითხრათ, რომ თანამედროვე ცხოვრება თავის ტემპებს და მაღალ კრიტერიუმებს გვთავაზობს. საინჟინრო და აგრარული დარგი საქართველოში სახელმწიფო პრიორიტეტთა რიგშია. ჩვენი უპირველესი მიზანია, ტექნიკისა და ტექნოლოგიების თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად მოვამზადოთ ამ დარგებისათვის მაღალკვალიფიციური კადრები. ტექნოლოგიური ფაკულტეტი, რომელსაც დიდი ხნის ისტორია გააჩნია, ყოველთვის იზიდავდა აქტიურ, საფუძვლიანი ცოდნის მიღების მსურველ ახალგაზრდებს. ჩვენს ფაკულტეტს დიდი შესაძლებლობა აქვს იმისა, რომ სტუდენტებს მისცეს არა მხოლოდ თანამედროვე განათლება, არამედ ჩამოუყალიბოს მათ ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას საინჟინრო და აგრარული საქმიანობის სფეროში.

უნივერსიტეტის სტუდენტები სასწავლებლად ნორვეგიაში გაემგზავრნენ

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები სასწავლებლად ნორვეგიაში გაემგზავრნენ. ახალგაზრდები ტელემარკის უნივერსიტეტში ერთობლივი პროექტის - „ნორვეგიაში, საქართველოსა და ყირგიზეთში ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სფეროში განათლება“ ფარგლებში ისწავლიან. ტურიზმის ფაკულტეტის 6 სტუდენტი ერთი სემესტრის განმავლობაში ტურიზმის მენეჯმენტის სპეციალობას დაეუფლება, ხოლო ეკოლოგიის სპეციალობის სამი მაგისტრანტი 2-წლიან სასწავლო კურსს გაივლის. კონკურსში მონაწილეობა 110-მა სტუდენტმა მიიღო. პირველ ეტაპზე გადასული 15 სტუდენტიდან გამარჯვებულები ნორვეგიის ტელემარკის უნივერსიტეტის პროფესორებმა - ფრუდე ლენგმა და თემურ აბესაძემ ტრენინგის ჩატარების შემდეგ შეარჩიეს. სტუდენტები რექტორმა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, დეკანებმა, ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და მშობლებმა გააცილეს.

ომში დაღუპული გმირის ამირან მამალაძის საფლავი გვირგვინით შეამკეს

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული გმირის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსან ამირან მამალაძის საფლავი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის

ხელმძღვანელმა ედიშერ ჩავლეიშვილმა, სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და თანაკურსელებმა გვირგვინით შეამკეს. უნივერსიტეტელებმა კიდევ ერთხელ პატივი მიაგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მებრძოლის ხსოვნას და მის ღვაწლზე ისაუბრეს. V ქვეითი ბრიგადის კაპრალი ამირან მამალაძე ერთადერთი სტუდენტი იყო აჭარის რეგიონიდან, რომელიც 9 აგვისტოს დაიღუპა.

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ტურიზმის მენეჯმენტის მიმართულებით

გერმანიის, რუმინეთის, მაკედონიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ტურიზმის ფაკულტეტის დეკანები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ალიოშა ბაკურიძეს და ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის დეკანს როსტომ ბერიძეს შეხვდნენ. ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა ოთხი ქვეყნის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ამოქმედება ტურიზმის მენეჯმენტის მიმართულებით. პროგრამული აკრედიტაციის გავლის შემდეგ სტუდენტები მობილობის ფარგლებში პარტნიორ უნივერსიტეტებში ერთი სემესტრის განმავლობაში ისწავლიან.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი – ჩვენი წარმატების საწინდარი

15 სექტემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი დაიწყო. 2014 წელს აქ 1052 სტუდენტი ჩაირიცხა. წარმატებული ახალი ნაკადი, ტრადიციულად, ქვეყნისა და უნივერსიტეტის ხვალინდელი წარმატებული დღის საწინდარია.

ნინო ინწკირველი, დიანა გვიანიძე, თამთა თურმანიძე და მარი მამულაძე ბავშვობის მეგობრები და ბათუმის მე-9 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები არიან. გოგონებმა არჩევანი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტზე გააკეთეს. ნინო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მომავალი ფილოსოფოსია და სახელმწიფოსგან 100%-იანი დაფინანსება მოიპოვა. დიანა მენეჯმენტის სპეციალობაზე ჩაირიცხა 70%-იანი დაფინანსებით, ხოლო თამთა და მარი კურსზეც ერთად ისწავლიან, დაფინანსებაც 50%-იანი მოიპოვეს, მათ ინგლისურ ფილოლოგიას მიანიჭეს უპირატესობა. დათომ ბათუმის მე-5 საჯარო სკოლა დაამთავრა. მომავალი ექიმი სახელმწიფოსგან 50%-იანი გრანტით ფინანსდება.

მე ვარ ნინო ინწკირველი, ახლა უკვე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი. დავამთავრე ბათუმის მე-9 საჯარო სკოლა.

დაწყებითი კლასებიდან საკმაოდ კარგად ვსწავლობდი. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში მიღებული განათლებით კმაყოფილი ვარ, გადავწყვიტე ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის დამატებით რეპეტიტორებთან მოვემზადებულიყავი. ერთი წელი ოთხივე საგანში ვიმეცადინე. აბიტურიენტობის პერიოდი, ჩემთვის, სწავლაზე მეტად ვარჯიშთან ასოცირდება. რა თქმა უნდა, ცოდნა გავირღმავე, მაგრამ ჩემი მიზანი მეტწილად წერის მანერის დახვეწა, აზროვნების სისხარტეზე მუშაობა, გამოცდებისთვის ფსიქოლოგიურად მომზადება იყო. ამაში, რა თქმა უნდა, რეპეტიტორები დამეხმარნენ. ვფიქრობ, სასკოლო საგანმანათლებლო პროცესი ჯერ კიდევ იმდენად დახვეწილი არ არის, რომ მოსწავლემ შეძლოს მხოლოდ სკოლაში მიღებული განათლებით სრული დაფინანსების მოპოვება.

აბიტურიენტობის პერიოდში საკმაოდ დატვირთული ვიყავი, თუმცა ვცდილობდი არ გადავღლილიყავი. საღამოს ადრე ვიძინებდი, კარგად ვიკვებებოდი, ყოველდღე, ნახევარი საათი მაინც, ვსეირნობდი სუფთა ჰაერზე — ეს ყველაფერი ენერგიას მმატებდა და ნაყოფიერად მუშაობაში მეხმარებოდა.

დამამთავრებელი კლასის სწრაფი რიტმი ჩემგან ორმაგ აქტიურობას მოითხოვდა, რისი გაკეთებაც მიჭირდა, თუმცა ეს ჩემთვის სასარგებლო გამოცდილებაა. ცხოვრების ამ პერიოდს ღიმილით ვიხსენებ.

გამოცდების მოახლოებასთან ერთად, ბუნებრივია, მღელვარება მატულობს, 100%-იანი დაფინანსების მოპოვებას, სიმართლე გითხრათ, ქულების გამოქვეყნებამდე არ ველოდი. პასუხის გაგებამ უდიდესი ბედნიერება მომანიჭა.

არჩევანი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტზე რამდენიმე წლის წინ შევაჩერე. საყვარელ ადამიანებთან განხორება ძალიან რთულია, ამიტომ გადავწყვიტე მშობლიურ ქალაქში დარჩენა. ბევრისგან მსმენია, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ფილოსოფიის კათედრა საკმაოდ ძლიერია. ასევე, მომხიბვლელია უნივერსიტეტში არსებული გაცვლითი პროგრამები. დარწმუნებული ვარ არჩევანს არ ვინანებ.

რატომ ფილოსოფია?

პროფესიული არჩევანი დამოუკიდებლად მივიღე. მომავალ პროფესიაზე ბავშვობიდან ძალიან ბევრს ვფიქრობდი, თუმცა არჩევნის გაკეთება ყოველთვის მიჭირდა. ჩემთვის ცხოვრების ამ ეტაპზე პრიორიტეტულია გავერკვე საკუთარ პიროვნებაში, მსურს თვალსაწიერი გავიფართოვო, საკუთარი აზრების კონცენტრირება მოვახდინო და გარკვეულ საკითხებზე მყარი შეხედულებები ჩამოვიყალიბო. ყველაზე ბევრი ფიქრის საშუალებას, სავარაუდოდ, სწორედ ეს სფერო მომცემს.

სტუდენტობის პერიოდი აქტიური, დატვირთული, ხალისიანი წარმომიდგენია. ახალი ურთიერთობები, საინტერესო საგნები, სხვადასხვა ტიპის აქტივობები... პარალელურად, ალბათ, გასულ წელთან შედარებით მეტი თავისუფალი დრო მექნება. თავისუფალ დროს უმეტესად მეგობრებთან ერთად ვატარებ. ასევე მიყვარს ფილმების ყურება, კითხვა, ხატვა, თუმცა უკანასკნელში, რბილად რომ ვთქვათ, ნიჭით არ გამოვირჩევი, ეს საქმე სიამოვნებას მანიჭებს. მაინტერესებს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მედიცინა, ფსიქოლოგია, გასული საუკუნის ისტორია...

მე მომავალში... ჩემთვის რთული წარმოსადგენია როგორი ვიქნები მომავალში, რადგან ცხოვრების დაგეგმვა, გრძელვადიანი მიზნების დასახვა ნაკლებად მახასიათებს.

გამარჯობა, მე ვარ დიანა გვიანიძე, ადრე ბათუმის მე-9 საჯარო სკოლის მოსწავლის, ახლა კი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მფლობელი. მიმდინარე წელს მენეჯმენტის სპეციალობის სტუდენტი გავხდი და 70%-იანი დაფინასება მოვიპოვე. შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ გამოცდებზე ზრუნვა ძალიან ადრე დავიწყე, რაც ჩემს მომავალ კარიერაზე გამუდმებულმა ფიქრმა განაპირობა. ვფიქრობ, სწორედ ეს გახდა საწინდარი იმისა, რომ სწავლამ პრიორიტეტული ადგილი დაიკავა ჩემს ცხოვრებაში. ის, რომ რეპეტიტორებთან მეცადინეობა არ დამჭირდა, სკოლის და საკუთარი მონდომების დამსახურებაა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სკოლაში მიღებულმა განათლებამ და დაგროვილმა ცოდნამ მთავარი როლი ითამაშა ჩემს წარმატებაში.

რაც შეეხება არჩევანს, ვფიქრობ, არ შევმცდარვარ, როცა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მივუთითე პირველ ადგილას. ვფიქრობ, არ მქონდა საკმარისი ძალა იმისა, რომ დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის თავი გამერთვა, მაშინებდა ათასი საზრუნავი, რაც ამ ყველაფერს თან ახლდა. იმისთვის, რომ ჩემი წარმატების ფორმულა გამეხორციელებინა, რომ მხოლოდ პროფესიასა და ცოდნის გარღმავებაზე მეფიქრა, გადავწყვიტე ბათუმში, საყვარელ ადამიანებთან დარჩენა. Gგარდა ამისა, უამრავმა გაცვლითმა პროგრამამ, რომელიც თქვენს უნივერსიტეტს აქვს, მიიპყრო ჩემი ყურადღება.

ვერ ვიტყვი, რომ რთული და დამღლელი აბიტურიენტობა მქონდა, პირიქით, ხშირად საკუთარ თავს ვსაყვედურობდი კიდეც, რომ სწავლას საჭირო დროს არ ვუთმობდი. მეგონა, ბევრ რამეზე (ძილზე, გართობაზე, დასვენებაზე) მომიწევდა უარის თქმა, მაგრამ ასე არ ყოფილა. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, სკოლაში მიღებული ცოდნა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მე ამ წარმატებით გავხა

სამომავლო პროფესიის შესახებ ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შემიძლია, დრო და გამოცდილება გვიჩვენებს ამას და თუ ჩემს ოცნებებს ასრულება უწერია, მაშინ სადმე ზღვის პირას მდებარე, პატარა სასტუმროს მფლობელი ვიქნები. ჩემი მომავალი მხოლოდ ამ მიზნით არ შემოიფარგლება, უბრალოდ არ მიყვარს წინასწარ რაიმეს დაგეგმვა.

ძალიან ცნობისმოყვარე ადამიანი ვარ, მაინტერესებს ყველაფერი, რაც ჩემს ირგვლივ ხდება, შეიძლება ითქვას, კითხვების კორიანტელია ჩემს ტვინში, ცხოვრებაზე ფიქრი მიყვარს, მიზიდავს კოსმოსური ცხოვრება, თანამედროვე ტექნოლოგიური თუ სამეცნიერო მიღწევები. თავისუფალ დროს ვუსმენ მუსიკას, ან რომელიმე მწერლის დეტექტიური რომანით ვარ გატაცებული.

მომავალ აბიტურიენტებს ერთ რჩევას მივცემდი: იყვნენ საკუთარ თავში დარწმუნებულები, მაქსიმალურად ეცადონ ცოდნის რეალიზებას და სასურველ შედეგსაც მიაღწევენ.

მე ვარ თამთა თურმანიძე, დავამთავრე ბათუმის მე-9 საჯარო სკოლა და ჩავაბარე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მოვიპოვე 50%-იანი გრანტი და ვაპირებ ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებაზე ვისწავლო.

სკოლამ ძალიან დიდი წვლილი შეიტანა ჩემს წარმატებაში. ვფიქრობ, რომ იქ მიღებული განათლების გარეშე, არ ვიქნებოდი ის, რაც დღეს ვარ, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რეპეტიტორის ინსტიტუტმაც მნიშვნელოვნად იმოქმედა ჩემს შედეგზე. რეპეტიტორები დამეხმარნენ 12 წლის მანძილზე მიღებული ცოდნის თავმოყრასა და მის უკეთ გამოყენებაში.

ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტი, სადაც ჩავაბარე, არის ერთ-ერთი ძლიერი ჩვენს რეგიონში ამიტომ, არჩევანი სწორედ მასზე გავაკეთე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დიდი წვლილი ითამაშა ტერიტორიულმა მხარემ. ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ყველაზე ხელსაყრელი სწორედ თქვენი (და უკვე ჩემიც) უნივერსიტეტია.

აბიტურიენტობის პერიოდი ყოველთვის გამახსენდება როგორც, ყველაზე დამღლელი, დატვირთული და რთული ხანა, უამრავი მასალის გარდა, გამკლავება მიწევდა უდიდეს ნერვიულობასთან. მხოლოდ 4 გამოცდა წყვეტს იმას, თუ როგორი იქნება ჩვენი მომავალი, აქედან გამომდინარე, ფსიქოლოგიური მომენტი ძალიან დიდია. ვფიქრობ, რომ დროის თანაბრად განაწილება ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული აბიტურიენტისთვის. ყოველ დილით სკოლაში და ამის შემდგომ 2-3 რეპეტიტორთან სიარული, ნამდვილად მოითხოვს დროის სწორად განაწილებას.

რაც შეეხება ჩემს მომავალ პროფესიას, მიმაჩნია, რომ იგი არის საკმაოდ პერსპექტიული. ვფიქრობ, რომ უცხო ენების კარგად დაუფლების შემთხვევაში, შესაძლებლობა მექნება დავსაქმდე არაერთ ადგილას. ამასთანავე, ჩემი დღევანდელი გადმოსახედიდან, ეს არის სფერო, რომელიც ყველაზე მეტად მაინტერესებს. არჩევანი, რომელიც გავაკეთე, გააზრებულია და არ არის ნაჩქარევად მიღებული. გადაწყვეტილებაც დამოუკიდებლად მივიღე, თუმცა მშობლების მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერით.

ხშირად მიფიქრია, თუ როგორი იქნება სტუდენტობის წლები, მაინტერესებს იქნება თუ არა იგი მოსწავლეობის ხანაზე უკეთესი. უფროსი თაობისგან მსმენია, რომ იგი ყველაზე საუკეთესო პერიოდია, ვიმედოვნებ, რომ ჩემი სტუდენტობაც არ იქნება გამონაკლისი. ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტში დამხვდება უფრო საინტერესო გარემო და მეტი თავისუფლება. ვარ საკმაოდ აქტიური და ვაპირებ ჩავერთო უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ აქტივობებში.

ძირითადად, თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ვატარებ, ერთად ვიკრიბებით და ვსაუბრობთ საინტერესო თემებზე. მიყვარს მხატვრული ლიტერატურის კითხვა, აბიტურიენტობის პერიოდში ამის დრო ნაკლებად მქონდა, თუმცა, თუ რაიმე ძალიან გინდა, მისთვის დროს ყოველთვის გამონახავ. ძალიან მიზიდავს მოგზაურობა, ჩემი და ჩემი მეგობრების სურვილია მთელი საქართველოს კარვებით შემოვლა, წელს სვანეთიდან დავიწყეთ და ვიმედოვნებ, რომ აქტიურად გავაგრძელებთ ჩვენი მიზნისკენ სვლას. ძალიან მიყვარს სპორტიც, 2 წელი დავდიოდი კალათბურთში, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო, ველარ შევძელი მისი გაგრძელება, რაზეც გული მწყდება.

ხშირად ვფიქრობ თუ როგორი ვიქნები მომავალში, ნამდვილად ვიცი, რომ არ მინდა მთელი ცხოვრება ერთი და იმავე საქმის კეთება. მინდა რომ საქმე, რომელსაც გავაკეთებ, იყოს ძალიან საინტერესო და სიახლეებით აღსავსე. მზად ვარ ვიშრომო იმისთვის, რაც აუცილებელი იქნება წარმატებული კარიერისთვის.

მე ვარ მარი მამულაძე, დავიბადე ქალაქ ბათუმში, დავამთავრე მე-9 საჯარო სკოლა და 50%—იანი დაფინანსებით ჩავირიცხე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ვფიქრობ, სკოლა მოზარდის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. რა თქმა უნდა, ჩემი წარმატებაც იქ მიღებულმა ცოდნამ განაპირობა. ვმეცადინეობდი ქართულს ენასა და ლიტერატურაში და ზოგად უნარებში. ვფიქრობ, რომ არა სკოლის 12-წლიანი გამოცდილება, მხოლოდ აბიტურიენტობის 1 წელი ამ წარმატებაში დიდად ვერ დამეხმარებოდა, მაგრამ ამ ერთმა წელმა მნიშვნელოვნად შეცვალა ყოველივე და არსებული ცოდნა უფრო გამიღრმავა.

არ ვიცი რატომ, მაგრამ ბავშვობიდან ვიცოდი, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვისწავლიდი. ყოველთვის მომწონდა იქაურობა, ბევრი კარგიც მსმენია, მაგრამ უმთავრესი მიზეზი, რის გამოც აქ ჩაბარება გადავწყვიტე, არის უნივერსიტეტის მდებარეობა, ის ჩემთვისაც ძალიან ხელმისაწვდომია და ჩემი ოჯახისთვისაც, რომლებიც კმაყოფილები არიან ჩემი არჩევნით.

ოოო, აბიტურიენტობა ჩემთვის ცხოვრების (ჩემ მიერ განვლილი ცხოვრების) ყველაზე დამღლელ პერიოდად ითვლება, როცა ყოველი დღე თითქმის ერთნაირია: ყოველ დილით სკოლა, შემდეგ მასწავლებლები და დაუსრულებელი სამეცადინო. ამას კიდევ ემატებოდა გამოსაშვები გამოცდები, რომელზეც ნერვიულობა ერთგვარი სტრესი იყო, რაც ეროვნული გამოცდებისთვის კონცენტრაციაში ხელს მიშლიდა.

მოგატყუებთ თუ გეტყვით, რომ უცხო ენებზე სწავლა ჩემი ბავშვობისდროინდელი ოცნება იყო, მეტიც, გადაწყვეტილება სპონტანურად მივიღე, სულ რამდენიმე თვით ადრე, გული რა თქმა უნდა, არ მწყდება, მაგრამ სამომავლოდ სულ სხვა გეგმები მაქვს დასახული. ისე, ზუსტად არასდროს ვიცი რას გავაკეთებ, მაგრამ მთავარია მიზანი და მოტივაცია, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება.

სტუდენტობის პერიოდს რატომღაც ჩემს გარშემო ყველა ძალიან სასიამოვნოდ აღწერს. ამიტომ მეც დადებითად ვარ დამუხტული. ვფიქრობ, ყველაზე კარგი სტუდენტობა მექნება, მეტიც, ერთი სული მაქვს როდის დაიწყება სწავლა, გული მიგრძნობს ცხოვრების ეს ახალი ეტაპი საკმაოდ კარგი და წარმატებული იქნება როგორც ჩემთვის, ასევე ყველა ყოფილი აბიტურიენტისთვის, რომლებიც ჩემსავით სულმოუთქმელად ელიან ახალი სასწავლო წლის დაწყებას. (მინდა შემთხვევით ვისარგებლო და უკლებლივ ყველა პირველკურსელს მივულოცო სტუდენტობა).

რაც შეეხება თავისუფალ დროს, ამ ბოლოს მართლაც თავზესაყრელად მაქვს. დროის უმეტეს ნაწილს მეგობრებს ვუთმობ. მიტაცებს მთა, ჩემი ერთ—ერთი ოცნება სალაშქროდ წასვლა იყო, რომელიც წელს ავიხდინე. ჰობი—მუსიკა, რომელზეც დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ თემაზე, აღვნიშნავ, რომ ძალიან მიყვარს დებატები და შემიძლია ვიკამათო ნებისმიერ საკითხზე.

მე მომავალში... არ ვიცი, ალბათ ძალიან აქტიური მოქალაქე ვიქნები, იქედან გამომდინარე, რომ არ შემიძლია ერთ ადგილას გაჩერება, ვფიქრობ, სამსახურიც შესაბამისი მექნება. მეტს ვერაფერს გეტყვით, არ დაგიმალავთ და მომავალზე საუბარი არ მიყვარს, უბრალოდ გეტყვით, უფლის ნებით ყველაფერი კარგად იქნება!

„გამარჯობა, მე დათო ხოზრევანიძე ვარ, 18 წლის. 2014 წელს დავამთავრე ბათუმის მე-5 საჯარო სკოლა და გადავწყვიტე უნივერსიტეტში გამეგრძელებინა სწავლა. ეს „ჩემი გეგმის'' პირველი ნაწილია. საერთოდ არ მიყვარს საკუთარ თავზე საუბარი, არ ვარ ამაყი ადამიანი. მოკლედ რომ გითხრათ, ერთი ჩვეულებრივი, ქართველი, ტრადიციების მოყვარული პიროვნება ვარ. ძალიან მიყვარს მეგობრებთან ერთად ყოფნა და „სიგიჟეების კეთება“. სამომავლოდ მინდა, რომ ექიმი გავხდე. სწორედ ამ ფაკულტეტზეც ჩავირიცხე და ასე შესრულდა „ჩემი გეგმის მეორე ნაწილიც“.

მოსწავლეობის პერიოდში აქტიურობით არ გამოვირჩეოდი, თუმცა გაკვეთილი ყოველთვის ნასწავლი მქონდა. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან კარგად ვსწავლობდი-მეთქი, თუმცა არც ზარმაცი ვიყავი. მასწავლებლები საუკეთესო ბავშვებს შორის ყოველთვის მეც მასახელებდნენ. ვფიქრობ, რომ სკოლაში მიღებულ განათლებას დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს უნივერსიტეტში ჩაბარებაში და სამომავლო პროფესიის არჩევაშიც. დღევანდელი გადასახედიდან, არც მე ვყოფილვარ გამონაკლისი და რა თქმა უნდა, მეც ვმეცადინეობდი რეპეტიტორებთან.

ჩემი წარმატება სკოლაში მიღებული განათლების და „სხვა“ მასწავლებლებთან მეცადინეობის დამსახურებაა. ვფიქრობ, რეპეტიტორის ინსტიტუტი ვერ იარსებებდა, თუკი თითოეულ კლასში არ იქნებოდა 10 მოსწავლეზე მეტი და რაღა თქმა უნდა, თითოეული ბავშვს თუ ყოველდღიურად გააკონტროლებდა მასწავლებელი, გამოკითხავდა გაკვეთილს, მოთხოვდა და შეამოწმებდა წერილობით დავალებას და ა.შ. ვფიქრობ, სკოლაში წარმატებული მასწავლებლები უნდა ასწავლიდნენ... იმასაც ვფიქრობ, რომ პედაგოგთა სერტიფიცირება სასკოლო რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილი გახლდათ, რამაც მასწავლებელი უფრო მოტივირებული გახადა. გეტყვით, რომ მე ყველა იმ საგანში ვმეცადინეობდი, რომლებიც ეროვნულ გამოცდებზე ჩავაბარე, გავხდი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტი მედიცინის მიმართულებით. მოვიპოვე 50%-იანი დაფინანსება. უნივერსიტეტისა და პროფესიის ირგვლივ არჩევანი თავად გავაკეთე, რადგან ძალიან მაინტერესებს ეს სფერო (მედიცინა)... სამომავლოდ დიდი გეგმები მაქვს... თუმცა ბოლომდე აქ დარჩენას არ ვაპირებ. მომდევნო საფეხურზე სწავლა მინდა, რომ საზღვარგარეთ გავაგრძელო.

როგორი იყო ჩემი ერთი ჩვეულებრივი დღე აბიტურიენტობის პერიოდში? გეტყვით, რომ ჩვეულებრივი: დილით სკოლაში წასვლა, შემდეგ მეცადინეობა, რეპეტიტორებთან მისვლა და ამ ყველაფრის შემდეგ ღამით ისევ მეცადინეობა... შესაბამისად, ბოლოს არც შედეგმა დააყოვნა. სტუდენტი ვარ!

მგონია, რომ სტუდენტობის პერიოდი საინტერესო იქნება... ეს ხომ ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპია და ვეცდები, რომ ამ ყველაფერს წარმატებით გავუმკლავდე.

თავისუფალ დროს, კითხვას ვუთმობ და არამარტო ამას, ჯანსაღ ცხოვრებას მივსდევ, ამაში კი ჩემი საყვარელი სპორტი — ფეხბურთი მეხმარება...

მე მომავალში? თუ ყველაფერი ისე გაგრძელდება როგორც მე მინდა, ექიმი ვიქნები, და აი მაშინ ასრულდება „ჩემი გეგმის“ მესამე ნაწილიც... როცა, მობილურზე დამირეკავენ და მეტყვიან: „დათო ექიმო, გადაუდებელი ოპერაციაა და სასწრაფოდ უნდა მოხვიდე“...

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ თითოეულ სტუდენტს, განსაკუთრებულად კი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს.

პირველკურსელებს ვულოცავ იმ წარმატებას, რომელსაც მიაღწიეს და გახდნენ სტუდენტები! ეს მათი და პედაგოგების ერთობლივი შრომის შედეგია.

დაბა ქედის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი სწავლას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრძელებს, რადგან ეს არის შესაძლებლობა, რომ ისინი სამომავლოდ მაღალკვალიფიცირებულ სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ.

ვუსურვებ მათ ნაყოფიერად გამოეყენებინოთ სტუდენტური წლები და გაემართლებინოთ ის იმედები, რასაც ჩვენი ქვეყანა, საზოგადოება, პედაგოგები და მშობლები მათზე ვამყარებთ!

დაბა ქედის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
თამარ თავდგირიძე

მოგესალმებით, მინდა ვისარგებლო თქვენი გაზეთით და ყველა სტუდენტს მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება. განსაკუთრებით მინდა მივულოცო პირველკურსელებს, ვინაიდან მათ ცხოვრებაში დამთავრდა ერთი ეტაპი — სასკოლო ცხოვრება და იწყება სრულიად ახალი ეტაპი, ე.წ. სტუდენტობის ხანა.

იყო სტუდენტი ეს არის განსაკუთრებული მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში, ვინაიდან სტუდენტობის დროს ყალიბდები როგორც გამოცდილი ადამიანი, იძენ ახალ მეგობრებს, იწყებ ახალ ეტაპს ცხოვრებაში და ეს ეტაპი ძალიან მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბათუმის უნივერსიტეტი არის ის უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც იძლევა თანამედროვე, 21-ე საუკუნის შესაბამის განათლებას და არ ჩამოუვარდება არცერთ უნივერსიტეტს საქართველოში თავისი ლექტორ მასწავლებლებით თუ მატერიალურ ტექნიკური ბაზით. მე დავამთავრე ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი და ძალიან კმაყოფილი ვარ იმ შედეგით და განათლებით, რაც ამ უნივერსიტეტში მივიღე, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის აბიტურიენტთა უმეტესობა ირჩევს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ეს უნივერსიტეტი არის წარმატებული.

2014 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მისაღებად ხულოს მუნიციპალიტეტიდან 300-მდე აბიტურიენტი დარეგისტრირდა, რომელთაგან 54%-მა მოიპოვა სტუდენტის სტატუსი. ამათგან, უმეტესობამ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტზე შეაჩერა არჩევანი.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და წარმატებებს გისურვებთ!

პატივისცემით ედუარდ მიქელაძე,
ხულოს რესურსცენტრის უფროსი

* * *

ჩვენი სახელმწიფოს არსებობისა და განვითარებისთვის ერთ-ერთი მთავარი პირობა განათლებაა. მომავალი თაობის აღზრდა, მათი ჩართვა საგანმანათლებლო სფეროში თითოეული პედაგოგის მოვალეობაა. მას შემდეგ, რაც ზოგადი განათლების დასრულებისას სტუდენტთა მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდებით დაიწყო, შეიცვალა მიდგომა და დამოკიდებულება უმაღლესი სასწავლებლებისადმი. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის მიღების შემდეგ დაწყებული რეფორმის შედეგად, რადიკალურად შეიცვალა საუნივერსიტეტო ცხოვრება. მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა დასაქმებაზე ორიენტირებულ სასწავლო პროგრამებზე, გაიზარდა სტუდენტთა მობილობა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. გარდა ამისა, საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის შედეგად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი და იმავდროულად აუცილებელი პირობა გახდა „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე“ და უწყვეტი განათლება.

ერთი სიტყვით, შეიცვალა უმაღლესი სასწავლებლები და მათ შორის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიც. თუმცა აკადემიურობისადმი, სიახლეებისადმი, პოტენციალის ზრდისა და განვითარებისადმი ლტოლვა ისევ ისეთი უცვლელი დარჩა. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მშობლიურია ბევრი ცნობილი, წარმატებული ადამიანისათვის. აჭარის რეგიონის მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი უმაღლეს განათლებას სწორედ აქ ღებულობს. ჩემთვის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცხოვრების ნაწილია, იგი სწავლასთან, კვლევასთან, პედაგოგიურ მუშაობასთან, ღვაწლმოსილ, დამსახურებულ მეცნიერებთან და ლექტორებთან ასოცირდება.

ამიტომ მინდა განსაკუთრებით მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, წარმატებები და ნაყოფიერი მოღვაწეობა ვუსურვო რექტორს, ბატონ ალიოშა ბაკურიძეს; იმედებისა და თავიანთი დიდი მოლოდინის გამართლება ვუსურვო პირველკურსელებს, ენერგიული პედაგოგიური და კვლევითი საქმიანობა ჩემს კოლეგებს - პედაგოგებს! იმედი მაქვს, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მომავალშიც გააგრძელებს პროფესიონალი კადრების მომზადებას და თავის წვლილს შეიტანს სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში - საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო მიღწევების სახით.

ვსარგებლობ შემთხვევით და ახალი 2014-2015 სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ განათლების სფეროში ჩართულ თითოეულ მოქალაქეს, მოსწავლეებს, სტუდენტებს, პედაგოგებს, მშობლებს, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ თუ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე პერსონალს! განათლებული, რწმენით განათებული გზებით ევლოს ჩემს ერს და სრულიად საქართველოს!

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს ტერიტორიული ორგანო -
ქობულეთის რესურსცენტრის უფროსი
მადონა გოგიტიძე

ძვირფასო მოსწავლეებო, სტუდენტებო, მასწავლებლებო სკოლებისა და უნივერსიტეტის თანამშრომლებო, გილოცავთ ახალი 2014-2015 სასწავლო წლის დაწყებას. ყოველი ახალი სასწავლო წელი არის თქვენს ცხოვრებაში ახალი და კიდევ ერთი საინტერესო პერიოდის, ახალი ცოდნისა და გამოცდილების შეძენის დასაწყისი.

ახალი სასწავლო წლის დაწყებას განსაკუთრებულად ვულოცავ პირველკურსელებს! მინდა მივულოცო მათ ის წარმატება, რასაც მიაღწიეს - გახდნენ სტუდენტები! ვუსურვო განვითარება, წინსვლა და ახალ-ახალი მიღწევები.

განათლება ქვეყნის პრიორიტეტია! მინდა, ვუსურვო ყველა სტუდენტს იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების და ჯანსაღი საგანმანათლებლო გარემოს აქტიური მშენებლები. ასევე, ვუსურვებ მათ ნაყოფიერად გამოეყენებინოთ სტუდენტური წლები, რათა მაღალკვალიფიცირებულ სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ და გაემართლებინოთ ის იმედები, რასაც ჩვენი ქვეყანა, საზოგადოება და მშობლები ვამყარებთ!

პედაგოგებო, თქვენ ყველაზე საპასუხისმგებლო მისია გაქვთ, ემსახუროთ საქმეს, რომელზეც არის დაფუძნებული საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარება, წარმატება და ჩვენი ქვეყნის მომავალი. განათლება და განათლებული ახალგაზრდობა — საქართველოს წინსვლის და წარმატების უცილობო წინაპირობაა. გისურვებთ წარმატებებს, ენერგიულ და დაუღალავ შრომას ღირსეული მომავალი თაობის აღზრდაში.

გამორჩეულად ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას ჩვენს პირველკლასელებს, იმ პატარა მოსწავლეებს, რომელთაც წელს პირველად შეადგეს ფეხი სკოლაში და ყოველთვის ემახსოვრებათ ეს დღე და გარემო - მათთვის ხომ ეს დღე სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისია. მჯერა, რომ ახალი სასწავლო წელი თითოეული მათგანისათვის წარმატებული იქნება.

გისურვებთ მშვიდობიან გარემოში ცხოვრებას, წინსვლასა და წარმატებებს.

გოჩა დავითაძე
ბათუმის რესურსცენტრის უფროსი

მთელ საქართველოს, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, ყველა ორგანიზაციას ვინც ემსახურება ახალგაზრდების აღზრდისა და განათლების საქმეს, ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. გისურვებთ წარმატებულ და ნაყოფიერ სასწავლო წელს.

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ განახლების საჯარო სკოლა შეიძლება ითქვას, საკმაოდ წარმატებული სკოლაა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არის მცირეკონტინგენტიანი, მოგახსენებთ, რომ ჩვენი დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები ყოველწლიურად წარმატებულად აბარებენ საატესტატო გამოცდებს, ერთიან ეროვნულ გამოცდებს და ირიცხებიან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ სასწავლებლებიდან უმეტესი ნაწილი ირჩევს და ირიცხება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მათ შორის ბევრმა მოიპოვა სახელმწიფო გრანტი, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „სტუდენტთა დახმარების“ პროგრამის მიერ დაწესებული გრანტი.

მეც წარმატებით დავამთავრე შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების, პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტი. ვთვლი, რომ საკმაოდ კარგი განათლება მივიღე და 1992 წლიდან ვეწევი პედაგოგიურ მოღვაწეობას და თითქმის ათი წელია ვარ სოფელ განახლების საჯარო სკოლის დირექტორი. ამ ხნის მანძილზე სკოლაში ნაყოფიერ და წარმატებულ მუშაობას ვეწევით, ეტაპობრივად და თანმიმდევრულად ვახორციელებთ რეფორმებს.

ჩვენს მოსწავლეებს გათავისებული აქვთ, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აძლევს სტუდენტებს მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი ბაკალავრის ხარისხის დიპლომებს, კარგ განათლებას და შემდეგ პროფესიის შესაბამისად, საზოგადოებაში თავს იმკვიდრებენ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. მრავალ წარმატებას გისურვებთ!

ლია გოლძვაძე, სსიპ ხულოს
მუნიციპალიტეტის სოფელ განახლების
საჯარო სკოლის დირექტორი

კიდევ ერთ ახალ სასწავლო წელს ეგებება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალი მიზნებით, პროექტებითა და ინოვაციური პროგრამებით. აჭარის რეგიონში ეს უნივერსიტეტი ოდითგანვე მოიაზრებოდა განათლების მძლავრ კერად. ადამიანს თანდაყოლილი მიდრეკილება აქვს პიროვნული ზრდისა და თავისი უნიკალური შესაძლებლობების მაქსიმალურად განვითარებისკენ. ეს ნიშნავს, რომ მას თვითრეალიზაციის ტენდენცია აქვს, რაც თითოეულ ინდივიდში სხვადასხვაგვარად გამოვლინდება. განათლება და წიგნიერება თუ არასწორად წარიმართა, შესაძლოა პიროვნული ძალების მომადუნებელი ფაქტორიც გახდეს. ხმამაღლა და ამაყად შეიძლება ითქვას რომ, თქვენი ბევრი კურსდამთავრებული თავისუფლად პასუხობს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს, არის რეალიზებული პიროვნება, შეუძლია იყოს წარმატებული თავის პროფესიაში. Mმეც, როგორც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ პიროვნულ და პროფესიულ წინსვლას მნიშვნელოვანნილად განსაზღვრავს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული განათლება.

ძვირფასო მეგობრებო, ახალი სასწავლო წლის დაწყებას გილოცავთ. გისურვებთ, რომ ეს უნივერსიტეტი გამხდარიყოს დიდი პერსპექტივებისა და თანამდეროვე გამოწვევებისთვის მზადმყოფი განათლების უალტერნატივო საშუალება; ბევრი ახალგაზრდისთვის მიმზიდველი, მისაღები და საოცნებო სწავლის ტაძარი.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ლექტორ-მასწავლებლებს გაწეული ღვაწლისთვის და გილოცავთ ახალი — 2014-2015 სასწავლო წლის დაწყებას.

სსიპ ქალაქ ბათუმის N15 საჯარო სკოლის
დირექტორი ნინო მოდებაძე

* * *

როგორც ცნობილია, განათლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში და შესაბამისად, მნიშვნელოვანია ჩვენი სახელმწიფოს განვითარებისათვის. ძალიან მიხარია, რომ დღევანდელ ახალგაზრდობას კარგად გააზრებული აქვს ეს საკითხი, მონდომებით ეუფლება განათლებას და საქართველოს მათი სახით ღირსეული თაობა ეზრდება.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ახალი სასწავლო წელი მივულოცო სტუდენტებს, ლექტორ-მასწავლებლებს, სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს. წარმატებული წელი ყოფილიყოს თითოეული მათგანისათვის!

დურმიშხან შავიშვილი, ქედის რესურსცენტრის უფროსი

2013-14 სასწავლო წელს შუახევის მუნიციპალიტეტის 29 საჯარო და 1 კერძო სკოლის 277 მოსწავლემ წარმატებით დაძლია ზოგადი განათლების საშუალო საფეხური, ხოლო ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირდა 195 კურსდამთავრებული, რომელთაგან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა 113.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ასევე დარეგისტრირდა გასული წლების კურსდამთავრებული 77 აბიტურიენტი, რომელთაგანაც 37-მა წარმატებით დაძლია გამოცდები.

სულ შუახევის მუნიციპალიტეტიდან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირდა 272 აბიტურიენტი, მათგან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა — 150.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებში ჩარიცხულ სტუდენტთა სტატისტიკა ასეთია:

• ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 69 სტუდენტი;

• საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტი- 39

• ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია-13

• ბათუმის ნავიგაციის საზღვაო უნივერსიტეტი-10

• ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა უნივერსიტეტებში - 19

ჯამში აბიტურიენტების 55%-ზე მეტი უკვე სტუდენტია.

ექვსმა მათგანმა მოიპოვა სახელმწიფო დაფინანსება: ერთმა 70 % -ანი ხოლო ხუთმა 50%-იანი

როგორც სტატისტიკიდან ჩანს, შუახევის მუნიციპალიტეტში ლიდერობენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო (ჩარიცხული სტუდენტების 46 პროცენტი სწორედ ამ სასწავლებელზე მოდის) და საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტები.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის იყო რეგიონში წამყვანი ძალა უმაღლეს სასწავლებლებს შორის. ის ჩემი მშობლიური უნივერსიტეტია და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ აქ მიღებული განათლება სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო ნორმებს. მინდა ამ უნივერსიტეტს გულით ვუსურვო წარმატებები, მათ ბევრი ღირსეული მამულიშვილი გამოუზრდიათ, მათ შორის შუახევის მკვიდრნი და ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ კიდევ ბევრი შუახეველი დაფრთიანდება, დაოსტატდება და როგორც პროფესიონალი კადრი, თავის ცოდნასა და ენერგიას მოახმარს სრულიად საქართველოს და რა თქმა უნდა, თავის რაიონს.

თქვენი გაზეთის საშუალებით ახალი სასწავლო წლის დაწყებას მივულოცავ სრულიად საქართველოს, განსაკუთრებით კი შუახეველ სტუდენტებს. ყველას ვუსურვებ წარმატებებს. დე, ჩამოყალიბდნენ პროფესიონალ სპეციალისტებად, ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების მატარებელ საქართველოს მოქალაქეებად.

პატივისცემით, ედუარდ გოგრაჭაძე
შუახევის რესურსცენტრის უფროსი

დრო, გარემოება და რეალობა მრავალი შეხედულების გადაფასებასა და უარყოფას ახდენს, მაგრამ არსებობს აქსიომად ქცეული ფასეულობები. უძველესი ეპოქებიდან მოყოლებული, მოაზროვნენი და სწავლულები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სწავლა-განათლებას. თანამედროვე ცივილური სამყაროც წარმატებისა და კეთილდღეობის მიღწევის საშუალებად და უპირობო გარანტიად სწორედ განათლებას მიიჩნევს.

თითქმის რვა ათეული წელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავდაუზოგავად იღვწის იმისათვის, რომ თავისი წვლილი შეიტანოს ერის ინტელექტუალური პოტენციალის გამდიდრებაში. თქვენი ხედვა და მიდგომები, სამეცნიერო ბაზა, კრეატიულობა და ინფრასტრუქტურა რეგიონისა და არამარტო რეგიონის ახალგაზრდებს, ფუნქციური ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურა არ ღალატობს წარსულის ტრადიციებს და თანამედროვეობის გამოწვევებსაც ღირსეულად პასუხობს.

გვიხარია, რომ წარმატებულ ნაბიჯებს დგამთ, ხელს უწყობთ სტუდენტების არამხოლოდ ცოდნით გამდიდრებას, არამედ მათი შემოქმედებითი უნარების განვითარებასაც.

ჩვენ თქვენ განსაკუთრებულად გგულშემატკივრობთ. ჩვენი სკოლის არაერთმა

წარმატებულმა მასწავლებელმა თქვენი უნივერსიტეტის კედლებში მიიღო განათლება. გვიხარია, რომ აქტიურად თანამშრომლობთ ჩვენთან და შემდგომშიც მზად ვართ პარტნიორობისათვის.

ბათუმის მე-2 საჯარო სკოლა გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დადგომას!

გისურვებთ განვითარებასა და წარმატებებს სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობაში!

მარიზა აბაშიძე, ბათუმის მეორე
საჯარო სკოლის დირექტორი

თითოეულ სტუდენტს, მოსწავლეს, პროფესორ-მასწავლებელსა და მშობელს, განსაკუთრებით პირველკლასელებსა და პირველკურსელებს, რომლებიც პირველად მიდიან სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში, მინდა მივულოცო ეს უმნიშვნელოვანესი დღე. ვუსურვებ წარმატებებს ცოდნის საუფლოში.

ტარიელ ძათამაძე,
დაბა ჩაქვის N1 საჯარო
სკოლის დირექტორი



შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურის საჯარო სკოლაში ექვსი კურსდამთავრებულია. ექვსივემ წარმატებით ჩააბარა საატესტატო გამოცდები, ხუთი კი უკვე სტუდენტია.

ხუთიდან ოთხი ჩაირიცხა ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ერთი კი თბილისში — ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში.

ვულოცავ ჩვენს კურსდამთავრებულებს: მალვინა ტარიელაძეს, შორენა ტაკიძეს, დარინა დავითაძეს, ელისო ბასილაძეს და თამუნა ქარცივაძეს უნივერსიტეტში ჩარიცხვას.

ჩვენი მოსწავლეებისათვის ცნობილი იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამები, უნივერსიტეტის მიღწევები და წარმატებები, რამაც გამოიწვია მათი დაინტერესება აღნიშნული უნივერსიტეტის მიმართ.

იმედი გვაქვს, რომ სამომავლოდ უფრო მეტი აბიტურიენტი გამოთქვამს სურვილს გახდეს ბსუ-ს სტუდენტი.

ვულოცავ უნივერსიტეტის თითოეულ თანამშრომელსა და სტუდენტს ახალი სასწავლო წლის დაწყებას და ვუსურვებ ნაყოფიერ საქმიანობას.

პატივისცემით,
ხიჭაურის საჯარო სკოლის
დირექტორი მ. მიქელაძე.

გაცვლითი პროგრამა თურქეთის უნივერსიტეტებში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე მეორე წელია მოქმედებს Mevlana-ს გაცვლითი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლას თურქეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. პროგრამა თურქეთის რესპუბლიკის უმაღლესი განათლების აღმასრულებელი საბჭოს ეგიდით ხორციელდება და ითვალისწინებს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის სწავლასა და დაფინანსებას ყოველთვიური სტიპენდიით.

2013-2014 სასწავლო წელს პროგრამის ფარგლებში ბსუ-ს 5 სტუდენტი იმყოფებოდა ათათურქისა და 19 მაისის უნივერსიტეტებში (აქედან, 3 სტუდენტი ორი სემესტრით და 2 სტუდენტი ერთი სემესტრით). ასევე ბიოლოგიისა და განათლების დეპარტამენტის 5-მა პროფესორმა ისარგებლა სტიპენდიით და ჩაატარა ლექციები და განახორციელა სამეცნიერო კვლევითი მუშაობა ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტში. სექტემბრიდან პროგრამის მეორე ეტაპი გრძელდება. კონკურსში გამარჯვებული ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 18 სტუდენტი ერთი სემესტრის განმავლობაში თურქეთის წამყვან უნივერსიტეტებში განაგრძობს სწავლას, ხოლო 15 პროფესორ-მასწავლებელი ჩაატარებს სემინარებს და მონაწილეობას მიიღებს სამეცნიერო კვლევით მუშაობაში ართვინის ჭოროხის, იალოვას, დიჯლესა და ათათურქის უნივერსიტეტებში.

2014-2015 სასწავლო წელს ბსუ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს სთავაზობს გაცვლით პროგრამას თურქეთის რესპუბლიკის შემდეგ უნივერსიტეტებში:

1. 19 მაისის უნივერსიტეტი (სამსუნი);
2. ათათურქის უნივერსიტეტი (ერზრუმი);
3. რეჯებ ტაიპ ერდოგანის უნივერსიტეტი (რიზე);
4. ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტი;
5. მუგლას უნივერსიტეტი;
6. იალოვას უნივერსიტეტი;
7. დიჯლეს უნივერსიტეტი;
8. შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტი;
9. არდაგანის უნივერსიტეტი;
10. ამასიას უნივერსიტეტი

გაცვლით პროგრამა Mevlana-ში მონაწილეობის მსურველებს უნდა ჰქონდეთ კარგი აკადემიური მოსწრება და ფლობდნენ ინგლისურ ან თურქულ ენას.

საგარეო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი
ნანა ყურშუბაძე

სადიაგნოსტიკო მეთოდებისა და სამედიცინო აპარატურის მუშაობის ფიზიკური პრინციპები

2013-2014 სასწავლო წლებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წამოიწყო ზამთრისა და საზაფხულო სკოლების პროექტი. აღნიშნული პროექტის ფიზიკურ ნაწილს (ზამთრის სკოლა ფიზიკაში) ხელმძღვანელობდა პროფესორი თამარ სანიკიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიისა და ბიოფიზიკის კათედრების ბაზაზე. ზამთრის სკოლა ფიზიკაში მიმდინარეობდა 17-27 თებერვალს, ლექცია-სემინარების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობდა სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ცისფერ დარბაზში. მოწვეული იყვნენ უცხოელი პროფესორები: დარელ ფიშერი -ჯანმრთელობის უსაფრთხოების ფიზიკის მსოფლიო ასოციაცია, (აშშ), მარტინა ელასი -ბიოფიზიკის დეპარტამენტი, ჯაგელონიანის უნივერსიტეტი, კრაკოვი, (პოლონეთი) და ნოკლას პალიკარაკისი -პარტუს უნივერსიტეტის სამედიცინო ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორი, (საბერძნეთი). ასევე თამარ სანიკიძე -თსსუ-ს სრული პროფესორი, სალომე კიპაროიძე -თსსუ-ს მოწვეული პედაგოგი მერაბ ანთია -თსსუ-ს მოწვეული პედაგოგი, გიორგი ორმოცაძე -ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რადიაციული უსაფრთხოების განყოფილების ხელმძღვანელი.

ლექცია-სემინარები ეხებოდა თანამედროვე სადიაგნოსტიკო აპარატურას და მკურნალობის პროცესში არსებულ საფრთხეებს. აგვიხსნეს რადიაციული ფონის ნორმები ბიოლოგიურ ქსოვილებში და გაგვაცნეს თანამედროვე სამედიცინო აპარატურის ''საზიანო მინიმუმების'' ბიოფიზიკური არსი. ყველაზე მეტად ორიენტირი უცხოელი სპეციალისტების მხრიდან აღებული იყო კიბოს პათოლოგიის მკურნალობის ორ გზაზე: MRI (Magnetic Resonance Imaging - მაგნიტო რეზონანსული ვიზუალიზაციასა და EPR (Electron Paramagnetic Resonance -ელექტრო-პარამაგნიტური რეზონანსი). გვქონდა ბედნიერება გვეხილა თბილისის ერთ-ერთ წამყვან კლინიკა ახლად ჩამოტანილი ხაზოვანი ამაჩქარებელი, რომლის ანალოგი ევროპაშიც კი ძალიან ცოტაა და ე.წ. ეპრ მკურნალობაში ბოლო თაობად იწოდება. ამავე კლინიკაში დავათვალიერეთ სხვადასხვა სახის მკურნალობის პროცესები და მიმოვიხილეთ აპარატურისა

და მისი გამოყენების ფიზიკური საფუძვლები. გამოცდილმა მედიკოსებმა კიდევ უფრო დაგვარწმუნეს იმაში, რომ დასხივება არასასურველია და ის მინიმუმი, რაც მსოფლიო სტანდარტებით იზომება, საქართველოში, სამწუხაროდ, ხანდახან ირღვევა.

პროექტის ფარგლებში ვიმყოფებოდით ასევე ბიომედიცინის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, სადაც რამდენიმე ექსპერიმენტსა და საინტერესო ცდას დავესწარით.

16 მაისს თბილისში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ჩაატარა 2013-2014 წლის ზამთრისა და საზაფხულო სკოლების შემაჯამებელი კონფერენცია. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 8 გამარჯვებული პროექტის პრეზენტაცია, რის შემდეგაც განხილულ იქნა განხორციელებული პროექტების აქტუალური მხარეები და სამომავლო პერსპექტივები. კონფერენციას ესწრებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ქალბატონი თამარ სანიკიძე და საპატიო სტუმარი იყო პრემიერ-მინისტრი ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი. შეგვპირდნენ რომ, პროექტები აუცილებლად გაგრძელდება და სამომავლოდ იქნება ინოვაციებიც, კერძოდ: პროექტის ფარგლებში პროექტის მასპინძელ უნივერსიტეტებს ექნებათ საშუალება შეიძინონ ლაბორატორიები ან მსგავსი ტექნიკა-მოწყობილობები, რომლებიც წარმადი იქნება სასწავლო პროცესისათვისაც. მონაწილე უცხოელმა პროფესორებმა დადებითად დაახასიათეს ქართველი სტუდენტობა და მათ ქვეყნებში სწავლასთან დაკავშირებით დახმარებას შეგვპირდნენ.

ფიზიკის სპეციალობის
მეოთხე კურსის
სტუდენტი
რევაზ თურმანიძე

პროფესორი ჯემალ ბერიძე - 70

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ჯემალ ბერიძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ღვაწლმოსილ პროფესორს იუბილე მიულოცეს და მის მიღწევებზე ისაუბრეს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ავთანდილ ბერიძემ, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანმა გიზო ფარცხალაძემ, აკადემიკოსმა ვანო პაპუნიძემ, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ რამაზ სურმანიძემ, კოლეგებმა და მეგობრებმა. პროფესორი ჯემალ ბერიძე წლების განმავლობაში მოწვეულ პროფესორად მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიურ და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტებზე. ცნობილ მკვლევარს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის კავშირგაბმულობის განვითარებისა და მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. მეცნიერს გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის ნაშრომი, 10-ზე მეტი სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო. 2014 წელს გამოიცემა მონოგრაფია "თანამედროვე უსადენო ქსელები: მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები".

1973 წლიდან პროფესორი ჯემალ ბერიძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში მუშაობს, 1982 წლამდე - მრავალარხიანი ელექტროკავშირგაბმულობის კათედრის დოცენტია 1982 წლიდან - ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობის კათედრის გამგე, 2009 წლიდან - სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების სასწავლო-სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელი. 1975-1982 წლებში იყო კავშირგაბმულობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

ჯემალ ბერიძემ 1995 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „გამოსახულების ციფრული სიგნალების გადაცემა საერთო სარგებლობის სატელეფონო ქსელებით", რომელიც წარმოადგენდა უძრავი და მოძრავი გამოსახულებების სტაციონარული და მობილური სატელეფონო ქსელებით გადაცემის ამჟამად უკვე მოქმედი ტექნოლოგიების პირველ წარმატებულ მცდელობას. ამ სამეცნიერო მიმართულებით, მისი ხელმძღვანელობით, მომზადებულია 2 საკანდიდატო დისერტაცია, 4 დისერტაცია და 10-ზე მეტი სამაგისტრო ნაშრომი. ამჟამად ხელმძღვანელობს 2 დოქტორანტსა და 1 მაგისტრანტს.

1977 წლიდან პროფესორი ჯემალ ბერიძე არის კავშირგაბმულობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, 2008 წლიდან - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი. მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციების მუშაობაში. საქმიანი ურთიერთობები აქვს ცნობილი კავშირგაბმულობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებთან.

ჯემალ ბერიძე აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა მიზნობრივი განათლების სასწავლო პროცესში (1982-85 წ.წ.), რათა აეთვისებიათ, საქართველოსათვის იმჟამად უახლესი ტიპის ერიქსონის ფირმის საკომუტაციო მოწყობილობების დამონტაჟებისა და შემდგომი ექსპლუატაციის საკითხები. მობილური კავშირის დანერგვასთან დაკავშირებით, საქართველოს მთაგორიანი რელიეფის გამო, გაჩნდა პრობლემები მაღალმთიან რეგიონებში მობილური ქსელების საბაზო სადგურებისათვის სიგნალების მიწოდებაზე. მისი უშუალო მონაწილეობით დამუშავდა აქტიური რეტრანსლიატორები გიგაჰერც სიხშირულ დიაპაზონში მომუშავე მზის ბატარეებზე და დამონტაჟდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

პროფესორი ჯემალ ბერიძე 1992 წლიდან ჩართულია პოლიტიკურ საქმიანობაში. 1992-1995 და 1995-1999 წ.წ. მე-4 და მე-5 მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი. 1992-1995 წლიდან, პარლამენტის კავშირგაბმულობის ქვეკომისიის თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა საქართველოს კანონი კავშირგაბმულობის შესახებ. 1994-99 წ.წ. ის დსთ-ს საპარლამენტო ასამბლეის საგარეო პოლიტიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილეა.

ჯემალ ბერიძემ სამთო-სათხილამურო სპორტის პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის მიზნით, მან დაამზადა და დაამონტაჟა ორი საბაგირო გზა: სოფელ ოლადაურში (შუახევის რ-ნი) 2001 წ. სოფელ ქედლებში (ხულოს რ-ნი) 2002წ. მათ შორის, (სოფელ ოლადაურში) უსასყიდლოდ, ქველმოქმედებით, გადასცა სოფელ ოლადაურის საშ. სკოლას. ორივე საბაგირო გზა დღესაც ფუნქციონირებს.

პროფესორი ჯემალ ბერიძე 1998 წელს დააჯილდოვეს ღირსების მედლით, 2013 წელს - ღირსების ორდენით, ასევე გადაეცა დსთ-ს საპარლამენტო ასამბლეის უმაღლესი ჯილდო - სიგელი — ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის.

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ნაშრომების დაცვა და საზეიმო გაცილება

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომების დაცვა და საზეიმო გაცილება გაიმართა. განათლების ადმინისტრირების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში 2012-2013 სასწავლო წლიდან მოქმედებს. საგანმანათლებლო პროგრამა პირველად ხორციელდება და მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ხელმძღვანელების მომზადებას განათლების ყველა საფეხურისათვის. სასწავლო პროცესს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები უძღვებიან. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმდებიან სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების, განათლების მიმართულების მქონე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მმართველ პოზიციებზე.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეიქმნა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს განათლების მართვის პროექტის ფარგლებში, USAID-ის პროექტის მხარდაჭერით და 2009 წლიდან კალიფორნიის ლოს—ანჟელესის უნივერსიტეტთან ერთად ხორციელდება.

პროგრამის ეფექტურად განხორციელებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და დამსაქმებლებთან.

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა 13-მა სტუდენტმა დაამთავრა.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კვლევა-ძიების შედეგების წარდგინება

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და დეპარტამენტების მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში წარმოებული კვლევა-ძიების შედეგების წარდგინება გაიმართა. შეხვედრაზე მკვლევრებმა საქართველოს მეცნიერებთა ეროვნული აკადემიის ანგარიში წარმოადგინეს. შეფასების მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და დეპარტამენტების კვლევებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ მიღებული უმაღლესი შეფასება. კვლევითი ინსტიტუტი რამდენიმე სამეცნიერო პროექტს ახორციელებს. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამწლიანი სამეცნიერო პროექტის - „სტამბულის ქართული სავანის ეპისტოლურ და მემუარული მემკვიდრეობა" ფარგლებში მკვლევრები უახლოეს მომავალში თურქეთში გაემგზავრებიან. სექტემბერში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსებით მეცნიერები საქართველოს ისტორიული მხარეების - ტაო-კლარჯეთის კვლევას განაგრძობენ.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2013 წელს მეცნიერებმა დაიწყეს კვლევა-ძიება ხუთწლიანი პროექტის - "აჭარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები" ფარგლებში. დაგეგმილია აჭარის მუნიციპალიტეტების ისტორიულ-არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური შესწავლა. ინსტიტუტის მკვლევართა ჯგუფი ასევე მუშაობს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო გრანტის ფარგლებშიც. მეცნიერები იკვლევენ ართვინის ვილაიეთის (კლარჯეთი) ქართული მოსახლეობის ყოფას (სამეურნეო-საოჯახო, საზოგადოებრივი ყოფა, წეს-ჩვეულებები და სხვ.).

ბოლო პერიოდში ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს 3 მონოგრაფია (ნ. კახიძე, ს. გოგიტიძე, ნ. ნოღაიდელი), 1 კოლექტიური მონოგრაფია „აჭარული საუნჯე, I" შუშანა ფუტკარაძის რედაქტორობით, უჩა ოქროპირიძის ნაშრომი (ფოტოალბომი) „აჭარა ქართულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში" (1988-1993). გარდა ამისა, ინსტიტუტმა გამოსცა ბათუმის III საერთაშორისო კონფერენციის მასალების III ტომი და სამეცნიერო სტატიების ტრადიციული კრებული - „ჩვენი სულიერების ბალავარი", V ტომი. მკვლევრებმა სხვადასხვა გამოცემაში გამოაქვეყნეს 45 სამეცნიერო სტატია, მონაწილეობა მიიღეს 30 რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციაში.

ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის დელეგაციის ვიზიტი

ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი მეჯლისის თავმჯდომარე ვასიფ ტალიბოვი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური კონსული ქალაქ ბათუმში ჰუსეინ ნაზიმ ნაჯაფოვი, ნახჭევანის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი სალეხ მახარამოვი და აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვივნენ. შეხვედრაზე ბსუ-ს საპატიო დოქტორმა ვასიფ ტალიბოვმა უნივერსიტეტთან ერთად განხორციელებული გაცვლითი პროგრამები შეაფასა და სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს საჩუქრად ნოუთბუქები გადასცა. ორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში აზერბაიჯანში 8 სტუდენტმა გაიარა ერთსემესტრიანი სასწავლო პროგრამა, ხოლო ბსუ-ში 8 აზერბაიჯანელი სტუდენტი სწავლობდა. სექტემბრიდან ნახჭევანში სასწავლებლად 4 სტუდენტი გაემგზავრება.

V საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი"

აჭარის მაღალმთიანეთში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტისა და აჭარის ა. რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით V საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა თემაზე: „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი". კონფერენციაზე საქართველოს, გერმანიის, ნორვეგიის, სამხრეთ კორეის, მაკედონიის, უკრაინის, რუსეთის, ბელორუსიის, თურქეთის, აზერბაიჯანის, ირანის, ლიტვის, ყირგიზეთის პროფესორებმა და ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებმა 100-ზე მეტი მოხსენება წარმოადგინეს. მაღალმთიანი აჭარის პოპულარიზაციის მიზნით კონფერენციას ხიხანის ხეობა მასპინძლობდა. მონაწილეებმა სხალთის ეკლესია და სელიმ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმი დაათვალიერეს. დარგის სპეციალისტებს შესაძლებლობა მიეცათ ასევე ადგილობრივ სამზარეულოსა და ხალხურ შემოქმედებას გაცნობოდნენ. ღონისძიების ფარგლებში სტუმრებმა ისტორიული ძეგლები მოინახულეს და ხიხანის ციხე დალაშქრეს. ორდღიანი კონფერენცია მიზნად ისახავდა ახალი ტურისტული პროდუქტების გაცნობას და მთიან რეგიონში ტურიზმის განვითარების პრობლემების გადასაწყვეტად მეცნიერების, დარგის სპეციალისტებისა და ბიზნესმენების ერთობლივ ძალისხმევას.

კონფერენცია მუშაობდა შემდეგ მიმართულებებში:

1. ტურიზმი და მთიანი რეგიონების განვითარება;
2. ახალი ტურისტული პროდუქტები მთიანი დასახლებული ადგილებისათვის;
3. ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური გავლენა;
4. კრეატიული მასპინძლობის მენეჯმენტი;

აკადემიკოსი მამია გოგოლიშვილი - 100

დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის გახსენება

ასი წელი შეუსრულდებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს, გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ქართველ აგრარიკოს მეცნიერთა სკოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო და ღირსეულ წარმომადგენელს, პროფესორ მამია გოგოლიშვილს, რომელმაც მეტად შინაარსიანი და საინტერესო ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა განვლო. იგი დაიბადა 1914 წლის 16 ოქტომბერს ქობულეთის მაზრის სოფელ ბობოყვათში.

1924 წელს დაამთავრა ბობოყვათის დაწყებითი სკოლა და სწავლა განაგრძო ბათუმის ახლად შექმნილ პედაგოგიურ სასწავლებელში. 1929 წელს ღარიბების, მოჯამაგირეებისა და ხელმოკლე ოჯახების ბავშვებისათვის ყვარელში სატყეო სასწავლებელი გაიხსნა, სადაც მსურველებს უგამოცდოდ იღებდნენ. მამია გოგოლიშვილმა სწორედ ყვარელში მიიღო საშუალო-ტექნიკური განათლება მეტყევის სპეციალობით, 1933 წელს კი სწავლა განაგრძო საქართველოს სატყეო ინსტიტუტში. ერთი წლის შემდეგ საკავშირო სუბტროპიკული ინსტიტუტი ოზურგეთიდან თბილისში გადავიდა და მამია გოგოლიშვილი, როგორც სუბტროპიკული რაიონის წარმომადგენელი, ამ ინსტიტუტში აგრძელებს სწავლას.

ინსტიტუტში სწავლის პირველივე წლებიდან ინტერესით ებმება ახალგაზრდულ საზოგადოებრივ საქმიანობაში. იმ დროისათვის აჭარიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული ახალგაზრდა კაცისათვის დამახასიათებელ უჩვეულო გამბედაობასა და ენერგიას იჩენს. მეხუთე კურსის სტუდენტი იყო. როდესაც ის აჭარის საბჭოთა მეურნეობის ტრესტის მმართველად დანიშნეს. ნახევარი წელიც არ იყო გასული და 23 წლისა ავტონომიური რესპუბლიკის მიწათმოქმედების კომისარი ხდება. ომის უმძიმეს წლებში მუშაობა დიდ ძალასა და ენერგიას მოითხოვდა, ამიტომაც ახალგაზრდა სპეციალისტისათვის ეს წლები ორგანიზატორული ნიჭის წარმოჩენასთან ერთად პროფესიული უნარჩვევების გამომჟღავნების პერიოდიც იყო.

მამია გოგოლიშვილის მიღწევები შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ოთხ ათეულ წელს მიღწეული სპეციალისტი უკვე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, სუბტროპიკოსი,მოსკოვში გამოიძახეს თათბირზე, სადაც სოფლის მეურნეობის აღდგენითი სამუშაოების პერსპექტივებზე იყო საუბარი, ამასთან ძირითადი ყურადღება დაეთმო ახალი ჯიშების მოვლა-მოყვანისა და პლანტაციების ფართობის გაზრდის პრობლემებს. სჯა-ბაასი გაიმართა იოსებ სტალინთან, მეცნიერ სუბტროპიკოსს ისეთი შთაბეჭდილება დაუტოვებია, რომ მისი რეკომენდაციით ის 1947 წელს აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს.

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე სახალხო მეურნეობის დარგების აღორძინებას იწყებს და თავის აქტიურ საქმიანობას სოფლის მეურნეობის განვითარებას ახმარს. ეს პერიოდი ძალზე ძნელი იყო აჭარისათვის, მართალია დიდი სამამულო ომი ორი წლის დამთავრებული იყო, მაგრამ ყველაფერი ახალ საწყისებზე უნდა გადასულიყო. განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის აღორძინების გარდა, ახალგაზრდა თავმჯდომარეს მხარის კულტურული დაწინაურება, ქართული ტრადიციების აღდგენაც აინტერესებდა, გარედან ძალით თავს მოხვეული უცხო წეს-ჩვეულება და საერთოდ ბევრი უცხო ტოპონიმი იყო შესაცვლელი, ამისთვის კი მხოლოდ მთავრობას უნდა ეზრუნა. მალე აღდგა ქართული გვარები, სახელები და სახელწოდებები, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა. საქართველოს მაშინდელმა კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატე ცინცაძემ, მამია გოგოლიშვილი სასახელო მამულიშვილად შერაცხა.

აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს ბატონი მამიას მიერ განხორციელებული ღონისძიებანი ბათუმის კათოლიკური ეკლესიის, სხვა უნიკალური არქიტექტურული ძეგლების გადარჩენის, ბათუმის ზღვისპირა პარკში საზაფხულო თეატრის უმშვენიერესი შენობის აგების სამუშაოები. ასე თვდადებულ გარჯაში გაიარა აჭარის მთვრობის ხელმძღვანელად მუშაობის რვა ნაყოფიერმა წელიწადმა.

1953 წლიდან მეცნიერებათა კანდიდატი მამია გოგოლიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბოტანიკურ ბაღს ჩაუდგა სათავეში. აქაც მისთვის ჩვეული უნარითა და ენერგიით აგრძელებს სამეცნიერო მუშობას მცენარეთა ინტროდუქციისა და ციტრუსოვანთ კულტურების აგროტექნიკაში. ზრუნავს ბოტანიკური ბაღის კოლექციის გამდიდრების, სამეცნიერო კვლევა-ძიების პრობლემატიკის გაფართოებისათვის. მეცნიერული შრომის ორგანიზაციის ნიჭით მომადლებული პროფესორი, ცენტრალური ბოტანიკური ბაღის კოლექტივის შემოქმედებით ხელმძღვანელობასთან ერთად, ამიერკავკასიის რეგიონალურ ორგანიზაციას აყალიბებს.

მისი უშუალო ინიციატივითა და შრომით იქმნება ამიერკავკასიის ბოტანიკური ბაღების საბჭო, რომლის უცვლელი ხელმძღვანელიც წლების მანძილზე იყო. ამ საბჭოს ინტერესებიდან გამომდინარე, პროფესორ მამია გოგოლიშვილის წინადადებით და მისივე ინიციატივით იგეგმება ერთობლივი ექსპედიციები ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში, პოლონეთში, ბულგარეთში, უნგრეთში, ციმბირში, კავკასიასა და შუა აზიაში მცენარეთა ინტროდუქციისათვის. ეწყობა ყოველწლიური სამეცნიერო სესიები, როგორც ამიერკავკასიის რესპუბლიკების დედაქალაქების: ბაქოს, ერევნის, თბილისის, ისე სხვა ბოტანიკურ ბაღებში. მამია გოგოლიშვილი 1961 წელს იცავს სადოქტორო დისერტაციას, ხოლო 1963 წელს მას ანიჭებენ პროფესორის წოდებას.

იგი დიდ მზრუნველობას იჩენდა მეცნიერთა ახალგაზრდა კადრების აღზრდისადმი. წლების მანძილზე იყო სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარე და ხელმძღვანელობდა სადოქტორო დისერტაციების დაცვას. მის მიერ მომზადებულია 20-ზე მეტი მეცნიერების კანდიდატი და დოქტორი. საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარება-ორგანიზაციისათვის ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა აღზრდისა და ბიოლოგიური მეცნიერების პოპულარიზაციის საქმეში გაწეული თვდადებული მოღვაწეობისათვის 1979 წელს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

მეცნიერ-ორგანიზატორი თავისი გამოკვლევების შედეგად მიდიოდა ბევრი რეგიონალური პრობლების დაყენების აუცილებლობამდე, თავის კვლევა-ძიებათა შედეგებს ბატონი მამია სისტემატიურად აქვეყნებდა და უკვე ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტროია, რომელთაგან ცხრა მონოგრაფიაა. მის ლაბორატორიაში მეცნიერული კვლევის შედეგად დაგროვილი ინფორმაცია დღესაც ყალიბდება რეკომენდაციებად, მეცნიერულ განზოგადებად. მის ნაშრომებს კითხულობდნენ და მოხსენებებს ისმენდნენ რუსეთში, იტალიაში, ინგლისში, ინდოეთში, ნეპალში, იაპონიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, უნგრეთსა და გერმანიაში. ყოველივე ამას ხელს უწყობს მისი ბევრი საერთაშორისო თუ რესპუბლიკური საბჭოს აქტიური წევრობაც. იგი 34 წელი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ბოტანიკური ბაღების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო სამი ათეული წელი ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს წევრი.

მამია გოგოლიშვილი ბევრჯერ იყო არჩეული საკავშირო უმაღლესი საბჭოს, აჭარის უმაღლესი საბჭოს და თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. მათგან ყველაზე უფრო ბათუმის საპატიო მოქალაქედ არჩევას გაუხარებია სიმწიფის ასაკში შესული აკადემიკოსი. ბათუმი ჩემი ქალაქია, ხშირად უთქვამს მას. მეხუთე ათეული წელია რაც თბილისში ვსახლობ, მაგრამ ბათუმელი ვარ, ჩემი ახალგაზრდობის ყველაზე ენერგიული წლები აქ გამიტარებია. ამ ძნელბედობის ჟამს მინდა, როგორმე გამოვადგე ჩემს კუთხეს, ეს ფიქრები მაწუხებს, ხშირად იტყოდა ბატონი მამია.

აუსრულდა დიდი ხნის სურვილი ღვაწლმოსილ მეცნიერს, მისი უშუალო ინიციატივითა და ძალისხმევით 1990 წელს დაარსდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის საკოორდინაციო ცენტრი, რომლის თავმჯდომარედ მუშაობდა წლების განმავლობაში, ხოლო 1994 წელს გახსნილ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აკადემიკოსი მამია გოგოლიშვილი არჩეული იქნა სუბტროპიკული კულტურების კათედრის გამგედ და კითხულობდა ლექციების კურსს სუბტროპიკულ მემცენარეობაში.

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და ორგანიზაციული საქმიანობისათვის საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 25 ივნისის განკარგულებით მამია გოგოლიშვილი დაჯილდოვა ღირსების ორდენით და ამავე წელს შეყვანილ იქნა მე-20 საუკუნის გამოჩენილ პიროვნებათა სიაში.

მეტად საინტერესო და საგულისხმოა აკადემიკოს მამია გოგოლიშვილის მიერ განვლილი სახელმწიფო, საზოგადოებრივი და მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის გზა. ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო ქვეყანასა და საზოგადოებას, ამიტომ მისი, როგორც თვალსაჩინო მეცნიერისა და სასიქადულო მამულიშვილის სახელი სამუდამოდ დარჩება მომავალი თაობების ხსოვნაში.

გიორგი თავამაიშვილი -
პროფესორი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი.

ალიოშა ბაკურიძე -
პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

რეზო ჯაბნიძე -
პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

„დიპლომამდელი სამედიცინო განათლების რეფორმა“

ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს ბაზაზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისათვის USAID-ის პროგრამა ,,შენარჩუნების“ მხარდაჭერით ტრენინგი ჩატარდა თემაზე: „დიპლომამდელი სამედიცინო განათლების რეფორმა“. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორმა თინათინ ჩიქოვანმა, ასისტენტ პროფესორმა თამარ ანელავამ და თინათინ გაგუამ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ჯანდაცვის მიმართულების აკადემიურ პერსონალს სამედიცინო განათლების მნიშვნელოვანი საკითხები გააცნეს. სამედიცინო განათლების რეფორმის ინიციატივის ფარგლებში, უნივერსიტეტთან არსებულ სამედიცინო განათლებისა და მედიკოსთა პროფესიული განვითარების ცენტრს უსასყიდლოდ გადმოეცა სამეანო და გინეკოლოგიური სიმულატორების სრული პაკეტი.

სამი დღის განმავლობაში ტრენინგის მონაწილეები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს ეცნობოდნენ, როგორიცაა: მოზრდილთა სწავლების პრინციპები, სამეცნიერო მტკიცებულებები და დისკუსიაზე დაფუძნებული სწავლება, პრეზენტაციების შედგენის ხელოვნება, შეფასების თანამედროვე მეთოდები, მრავლობითი არჩევანის ტესტების შედგენის მეთოდოლოგია და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ჩატარების მეთოდები. ასევე ყურადღება იყო გამახვილებული ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) საკითხებზე, რომელიც კლინიკური უნარ-ჩვევების გამოცდის ჩაბარებას ითვალისწინებს.

კონფერენციის გამოძახილი

უკვე ტრადიციად იქცა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა“ ჩატარება, რომელიც ბათუმობას ეძღვნება და ბათუმის მერიასთან ერთად იმართება. კონფერენციაში მონაწილეობას ღებულობდნენ სტუმრები თბილისიდან, ქუთაისიდან, გორიდან, თელავიდან და რა თქმა უნდა, უცხოეთიდან. კონფერენცია მიმდინარეობდა სახალხო დღესასწაულ ბათუმობის ფარგლებში 2014 წლის 1 და 2 სექტემბერს.

კონფერენციაზე წარმოდგენილი და წაკითხული იქნა 49 მოხსენება - ისტორიის, ეთნოლოგიის, ეკონომიკის, ტურიზმის, ენათმეცნიერების თუ სხვა, წარსულის და თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებზე.

კონფერენცია გახსნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა ირაკლი ბარამიძემ. მას მიესალმნენ ჩამობრძანებული სტუმრები, რის შემდეგაც თავიანთი მოხსენებები საერთო სხდომაზე წარმოადგინეს ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორია-არქეოლოგიის განყოფილების გამგემ, პროფესორ-ემერიტუსმა ბიჭიკო დიასამიძემ - ქალაქ ბათუმის ერთი ჰეროიკული დღე(1978 წლის 26 მაისი) და თბილისის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გელა საითიძემ - „ახლად შემოერთებული ბათუმის საკითხი მე-19 საუკუნის 80-იანი წლების საქართველოს პრესაში“, - რომელთაც დიდი მოწონება და ყურადღება დაიმსახურეს.

ამის შემდეგ კონფერენციის მუშაობა გაიყო ორ სექციად. სექციებში საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს: რამაზ სურმანიძემ (ბათუმი), ჰეირათთინ გულბინმა (თურქეთი, სტამბოლი),

გია გელაშვილმა (თბილისი), გიული გიგუაშვილმა (გორი), სულხან კუპრაშვილმა და გოდერძი ვაჭრიძემ (ქუთაისი), ნოდარ კახიძემ (ბათუმი), ლელა სარალიძემ (თბილისი), მერაბ მეგრელიშვილმა (ბათუმი), ავთანდილ ნიკოლაიშვილმა (ქუთაისი), თენგიზ სიმაშვილმა და ნინო სოზაშვილმა (თელავი), ნატო ცქვიტინიძე (ბათუმი), თამარ მაკასარაშვილმა (გორი), სულხან ალექსაიამ, როინ მალაყმაძემ (ბათუმი), ოთარ გოგოლიშვილმა, ოლეგ ჯიბაშვილმა, ხათუნა დიასამიძემ და სხვებმა.

განსაკუთრებული ყურადღებით და ინტერესით იქნა მოსმენილი სულხან კუპრაძის და გოდერძი ვაჭრიძის მოხსენება - ერთი რუსული გამოცემა ბათუმისა და ციხისძირის შესახებ.

მაღალი პროფესიული შესრულებითა და საინტერესო შინაარსით გამოირჩეოდა გიული გიგუაშვილის მოხსენება - რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებანი და მისი რეალიზაციის მექანიზმები ქალაქ ბათუმში.

თანამედროვე ისტორიული აზროვნების შესაბამისად წარმოადგინა კონფერენციაზე თავისი მოხსენება - ბათუმი რუსული ოკუპაციის პირველ წლებში (1921 — 1922 წ. წ.) — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ლელა სარალიძემ, რომელმაც სათანადო მასალის საფუძვლიანი ანალიზის შედეგად, აჭარაში აღნიშნულ პერიოდში მიმდინარე პროცესების შესახებ გააკეთა მართებული დასკვნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების საწყის ეტაპზე მას აჭარაში თითქმის არ გააჩნდა არავითარი პოლიტიკური და იდეოლოგიური დასაყრდენი და ძალაუფლებას ფაქტიურად ძალადობით ინარჩუნებდა.

არაერთაზროვნად იქნა აღქმული თენგიზ სიმაშვილისა და ნინო სოზაშვილის მოხსენება - „იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი) და ბათუმი“, - სადაც ავტორებმა ახალი დოკუმენტური მასალის საფუძველზე წარმოადგინეს თავიანთი ხედვა, რამაც ცხოველი ინტერესი და მეცნიერული პაექრობა გამოიწვია.

ძალზე დიდი ინტერესი იქნა მოსმენილი შუშანა ფუტკარაძის მოხსენება ბათუმი ოსმალურ წყაროებში, რომლის შესახებაც გამოითქვა სათანადო აზრები და სურვილები. კონფერენციაზე გამოიკვეთა იდეა, რომ თურქეთის რესპუბლიკაში, კერძოდ სტამბოლში არსებული ქართული საზოგადოების ცენტრის არქივისა და ბიბლიოთეკის მოვლა პატრონობის, მისი აღწერა-კლასიფიკაციისა და სათანადო კატალოგების შექმნის მიზნით, მასში დაცული მასალის გამოყენების უზურნველსაყოფად, ეთხოვოს საქართველოს ხელისუფლებას ამ საქმეში ქმედითი ჩარევა, საკითხის ჩვენი ქვეყნის ინტერესების შესაბამისად გადასაწყვეტად.

კონფერენციის მონაწილეებში დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე მაია აზმაიფარაშვილის („აბრეშუმის გზა“, უძველესი ცივილიზაცია და ტურიზმის განვითარების შესაძლებლობანი საქართველოში) და ნანა შავთვალაძის (რამდენიმე სასაუბრო აქტიური ფორმის შესახებ) - მოხსენებებმა. თუმცა ამ უკანასკნელს მოუწონეს რა პრობლემის ხედვაში ასახული სიახლე, ამასთან მიუთითეს ამ სიახლის კვლევაში დაშვებულ შესაძლო ნაკლოვანებებზე, რაც მომხსენებლის მიერ სრულიად იქნა გაზიარებული.

კონფერენციაზე ახალი საინტერესო მასალები წარმოადგინა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ილია ჭავჭავაძის აჭარასთან ურთიერთობის შესახებ, ხოლო მოგონებების მიხედვით ახალი უცნობი დეტალებით შეავსო ბათუმის ოლქში თურქების მიერ ჩატარებული ე.წ. რეფერენდუმის ისტორია თქვენმა მონამორჩილმა, ამ სტატიის ავტორმა.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციამ საინტერესო პაექრობასა და საქმიან ვითარებაში ჩაირა.

ისტორიის დოქტორი,
პროფესორი
უჩა ოქროპირიძე

საზაფხულო სკოლა ფიზიკაში

„კვლევის მეთოდები მასალათმცოდნეობაში“

18-23 აგვისტოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საზაფხულო სკოლა სტუდენტებისთვის „კვლევის მეთოდები მასალათმცოდნეობაში“. საზაფხულო სკოლა ფიზიკაში განხცორციელდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი საგრანტო პროექტის ფარგლებში, რომელიც დააფინანსა შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა.

საზაფხულო სკოლაში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, კერძოდ, ბათუმის სახელნწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ილიას სახელმწიფი უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის 45 წარჩინებული სტუდენტი მონაწილეობდა. სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ საცხოვრებლით და დაფინანსებული იყო მათი მგზავრობისა და კვების ხარჯებიც.

ლექციების წასაკითხად ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებთან ერთად (ნუგზარ ღომიძე, ლალი კალანდაძე), მიწვეულნი იყვნენ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის და ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის წამყვანი ფიზიკოსები, რომლებიც ანხორციელებენ ექსპერიმენტულ და თეორიულ კვლევებს მასალათმცოდნეობაში. მეცნიერებმა სტუდენტებს გააცნეს მასალების კვლევის ექსპერიმენტული, თეორიული და კომპიუტერული მოდელირების მეთოდები, თანამედროვე და პერსპექტიული მასალები და მათი ოპტიკური, მაგნიტური და მაგნიტოოპტიკური თვისებების ტექნიკასა და მედიცინაში გამოყენება.

საზაფხულო სკოლის მუშაობის პროცესი ითვალისწინებდა სტუდენტების ჩართულობას პრაქტიკულ და სალექციო მეცადინეობებზე. ამასთან, გამოცხადებული იყო კონკურსი: საზაფხულო სკოლის ყველაზე მეტად აქტიური და გამორჩეული 2 სტუდენტი გაიგზავნებოდა შვეიცარიაში, მსოფლიოს უდიდეს ფიზიკის ლაბორატორიაში წარმოებულექსპერიმენტებში მონაწილეობის მისაღებად. კონკურსის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული სტუდენტები: ანა სლიუსარევა - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის სპეციალობის მესამე კურსელი და თორნიკე ქიმერიძე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი. პროფესორ ალ. შენგელაიას მხარდაჭერით, შერჩეული სტუდენტები დაფინანსდებიან შვეიცარიის ფიზიკის კვლევების ცენტრიდან.

საზაფხულო სკოლის ყველა მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატები, დაურიგდათ წარმოდგენილი ლექციების პრეზენტაციები და შესაბამისი რიდერები.

ლალი კალანდაძე,
ფიზიკის დეპარტამენტის
ხელმძღვანელი,
ასოცირებული პროფესორი

მოსახლეობის საყოველთაო აღწერაში სტუდენტები ჩაერთვებიან

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდნენ და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროექტი გააცნეს. აღწერა 2014 წლის 5 ნოემბერს დაიწყება და მასში წარჩინებული სტუდენტები ჩაერთვებიან. პროექტში მონაწილე ახალგაზრდები დასაქმებამდე მოსამზადებელ კურსს გაივლიან. აღწერა ორ კვირას გაგრძელდება და ანაზღაურება 400-500 ლარით განისაზღვრება. დასაქმების მსურველებმა ინფორმაციისათვის უნდა მიმართონ დასაქმების სააგენტოს ვებგვერდს.

ძალა ერთობაშია...

სტუმრად ართვინის უნივერსიტეტში

საზაფხულო სკოლა ბათუმის უნივერსიტეტში

თორნიკე ტაბატაძე ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლაში

მეგობრული ურთიერთობა ბათუმისა და ართვინის უნივერსიტეტებს შორის სათავეს 2007 წლიდან იღებს.

ართვინი მდინარე ჭოროხის მიმდებარე მთებზე გაშენებული ქალაქია, სადაც მთას მხოლოდ მთა მოსდევს, უფრო სწორად კი, პიტალო კლდეები და დაბლობს, ვაკეს აქ ვერ შეხვდებით. ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტი (თურქ. Artvin Зoruh Ьniversitesi) კი ცნობილია, როგორც უნივერსიტეტი, რომელიც ცასთან ყველაზე უფრო ახლოსაა. ის ახალგაზრდაა, და მხოლოდ 2007 წელსაა დაარსებული.

დაარსების წელსვე, ართვინის უნივერსიტეტის პროფესორთა დელეგაცია მაშინდელი რექტორის, იბრაიმ ოზენის ხელმძღვანელობით, სტუმრად ეწვია ბათუმს, უნივერსიტეტებს შორის საქმიანი, მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად. იმავე ზაფხულს, მათ ართვინში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტიდან სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა 20 კაციანი დელეგაცია მიიწვიეს. მაშინდელი ფაკულტეტის დეკანის, პროფ. რუსუდან ხუხუნაიშვილის ხელმძღვანელობით დელეგაცია გაეცნო უნივერსიტეტის სტრუქტურას, აკადემიურ პერსონალს, ართვინის ტყე-პარკებს და იქაურ ბიომრავალფეროვნებას.

შემდეგ ჩვენი უნივერსიტეტის ორმა სტუდენტმა მასპინძელი უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტზე გაიარა საზაფხულო პრაქტიკა.

თანდათან მეგობრული ურთიერთობა უნივერსიტეტებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა. ეს გამოვლინდა 2008—2014 წლებში, ბათუმსა და ართვინის უნივერსიტეტებში გამართულ საზაფხულო სკოლებსა და სამეცნიერო კონფერენციებში, სტუდენტთა და პროფესორ—მასწავლებელთა მონაწილეობით, ერთობლივი კვლევებითა და სამაგისტრო—სადოქტორო ნაშრომების მომზადებით ბიომრავალფეროვნების თუ ეკოლოგიის მიმართულებით. ამის შედეგია ართვინის უნივერსიტეტის პრორექტორის, პროფესორ აიდინ თუფექჩიოღლუს სიტყვები:“ ართვინის უნივერსიტეტს ყველაზე ხანგრძლივი, საქმიანი და ახლო მეგობრული ურთიერთობა ბათუმის უნივერსიტეტთან აკავშირებს“.

ქალაქი ართვინი

ექსპერიმენტული კვლევა ართვინის უნივერსიტეტის ნიადაგის ეკოლოგიის ლაბორატორიაში

2013 წლის 13 მაისს, ორი უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორებმა ალიოშა ბაკურიძემ და მეჰმედ დუმანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას თურქეთის რესპუბლიკის უმაღლესი განათლების აღმასრულებელი საბჭოს მიერ გამოცხადებულ გაცვლითი პროგრამა „Mevlana”-ს ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ. შესაბამისად, ბათუმის უნივერსიტეტის ოთხი პროფესორ-მასწავლებელი (გუგული დუმბაძე, ნინო ლომთათიძე, ლია ინაიშვილი, ინგა დიასამიძე) გავემგზავრეთ ართვინის უნივერსიტეტში.

სიამოვნებით ვიხსენებ იქ გატარებულ ნაყოფიერ, საინტერესო და დატვირთულ ერთ თვეს. პროგრამის ფარგლებში გვქონდა ლექციები და პრაქტიკული სამუშაოები სატყეო ინჟინერიისა და განათლების ფაკულტეტის სტუდენტებთან, ეკოტურები ისტორიული ტაო—კლარჯეთის მიდამოებში, დისკუსიები ართვინისა და ბათუმის მხარეებში არსებული ეკოლოგიური პრობლემებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, ერთობლივი კვლევები ნიადაგის ეკოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების მიმართულებით და მრავალი სხვა, რამაც გააღრმავა ჩვენი მეგობრული ურთიერთობა მასპინძელი უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ—მასწავლებლებთან.

სწორედ ახლო მეგობრული კონტაქტების, სამეცნიერო—კვლევითი ურთიერთობის გაღრმავების შედეგი იყო მიმდინარე წლის 11—13 ივლისს, ბათუმში, ეკოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის „ეკოლოგიური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“ ჩატარება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩვენის მხრივ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის და ტექნოლოგიური ფაკულტეტები, ხოლო ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტიდან სატყეო ინჟინერიის ფაკულტეტი. საზაფხულო სკოლის მიზანს წარმოადგენდა, ეკოლოგიური მეცნიერების პოპულარიზაცია, სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების ეკოლოგიური პრობლემებით დაინტერესება და საველე პირობებში კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ართვინის უნივერსიტეტიდან საზაფხულო სკოლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ცხრა სტუდენტმა და ექვსმა პროფესორ—მასწავლებელმა. ორი მეგობარი უნივერსიტეტის პროფესორ—მასწავლებლებმა წაიკითხეს ლექციები გარემოს რადიაციული და ქიმიური დაბინძურების, კლიმატის გლობალური ცვლილების, ბიომრავალფეროვნების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ და სხვა. ასევე მოეწყო ეკოტური ბათუმის ბოტანიკურ ბაღსა და მარტვილის კანიონში.

გარდა ზემოთ აღნიშნული მიზნების განხორციელებისა, საზაფხულო სკოლა მეტად შთამბეჭდავი აღმოჩნდა ორივე უნივერსიტეტის სტუდენტთათვის. ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებისა და საველე მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების გარდა, სკოლამ განაპირობა ორი ქვეყნის ახალგაზრდობის კულტურული, ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური, თავისებურებების, ტრადიციების გაცნობა, და საბოლოოდ, მჭიდროდ მეგობრობა მათ შორის.

მინდა გამოვყო ართვინის უნივერსიტეტის რამდენიმე პროფესორი, ვინც დიდი წვლილი შეიტანა ორი უნივერსიტეტის დამეგობრებასა და სამეცნიერო—კვლევითი მუშაობების ხელშეწყობისთვის: მეჰმედ დუმანი (რექტორი), აიდინ თუფექჩიოღლუ (პრორექტორი), ოზგურ ემინაღაოღლუ, მუსტაფა გუმუში, ბულენთ თურგუთი, თემელ გოქთურქი, მეჰმედ ოზალფი და სხვები.

საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა კვლავაც გრძელდება. სულ რამდენიმე დღის წინ ეკოლოგიის სპეციალობის IV კურსის სტუდენტი თორნიკე ტაბატაძე დაბრუნდა ართვინიდან, სადაც მონაწილეობა მიიღო კლიმატის გლობალური ცვლილებებისადმი მიძღვნილ 10 დღიან საზაფხულო სკოლაში. ბათუმის უნივერსიტეტის ათი პროფესორი მიწვეულია ართვინის უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, გრძელდება ერთობლივი სამეცნიერო კვლევები ეკოლოგიისა და ბიომრავაფეროვნების მიმართულებით, დაგეგმილია მომავალ სასწავლო წელს საზაფხულო საერთაშორისო ეკოლოგიური სკოლის ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტში ჩატარება და მრავალი სხვა.

მინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო ჩვენი უნივერსიტეტის რექტორის, პროფ. ალიოშა ბაკურიძის, საგარეო ურთიერთობათა სამსახურის უფროსის ნანა ყურშუბაძის, ფაკულტეტის დეკანის პროფ. მარინა ქორიძის, შესაბამისი დეპარტამენტებისა და თუ პროგრამული მიმართულებების ხელმძღვანელების მიმართ, ვინც ხელი შეუწყო უნივერსიტეტებს შორის საქმიანი, სამეცნიერო თუ მეგობრული კავშირ—ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და გაღრმავებას, სტუდენტებისა თუ პროფესორ—მასწავლებელთა კვალიფიკაციის დონის ამაღლებას, მათ შემდგომ წარმატებებსა თუ პერსპექტივებს.

ძალა ხომ ერთობაშია...

გუგული დუმბაძე
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი:
ნესტან მამუჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
ნანა ცეცხლაძე
ინგა შამილიშვილი
ნათია ნიკლაშვილი
ნინო დოლიძე
მურმან გორგოშაძე
დავით ბარათაშვილი
გურამ ჩაგანავა
ზოთა მამულაძე

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლოში“
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7